# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 12 ივნისი, 2010 წელი.

№109 (6475)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.

ჟურნალისტური გამოძიება

## ვინ გაყიდა ჩვენი ქვეყანა, ④



## ანუ არიან თუ არა შევარდნაძე და სააკაშვილი სამშობლოს მოღალატენი

## როცა ინტუიცია თავად მოუს წამყვანს ღალატობს ③



## ⑤ რა საფრთხეს უქმნის ჩვენს ცხოვრებას ლარის კურსის დაცემა?

## რატომ მიიღო სასაქონლო სახე უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობებმა ⑧

## რატომ უნდა აშინებდეს ხელისუფლებას ალტერნატიული ნაციონალური პროექტი? ③

## ვინ და რატომ ერჩის მოხუც ხუბუტიას? ⑤



მერაბ ელიოზიშვილი:

## ცოდნის გემო გამეორებაშია და მეც ვიმეორებ... ⑦

## როგორ გადაიქცა დედით ქართველი და მამით პოლონელი კირილ ზდანევიჩი რუსეთში დაბადებულ ფრანგ ხელოვნად ⑨





მსოფლიოს XIX საფეხბურთო ჩემპიონატი სამხრეთ აფრიკისა და მექსიკის ნაკრები გუნდების მატჩით გაიხსნა, რომელიც ფრედ — 1:1 დასრულდა (შაბალალა; მარკესი).

მოსაწყენი პირველი ტაიმის შემდეგ, რომელშიც მცირე უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ, მეტოქეებმა იერიშები გაამწვავეს და გოლებიც გაცვალეს. მეტიც — უკანასკნელ წუთზე მფელას იოჰანესბურგის „სოკერ პარკზე" შეკრებილი 100-ათასიანი აუდიტორიისა და სრულიად სამხრეთ აფრიკის ალტაცებაში მოყვანა შეეძლო, მაგრამ მეკარე პერესთან პირისპირ გასულმა ბურთი ძელს მოახვედრა.

წუხელვე კეიპტაუნში ამავე „ა" ჯგუფის მეორე შეხვედრა გაიმართა: საფრანგეთი — ურუგვაი.

## მალხაზ გულაშვილის ოჯახის წევრები „მონანიება-2"-ის პერსონაჟები გახდნენ? ②



◉ სასამართლო

**საბედისწერო აღმოჩნდა ერეკლე დეისაძის რომანი „საიდუმლო სიროზა“ მედიაჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსის“ ხელმძღვანელისთვის. მალხაზ გულაშვილმა და სახალხო მართლმადიდებლურმა მოძრაობამ ოფიციალური ბრძოლა გამოუცხადეს „თავისუფლების ინსტიტუტს“ და გიგი თევზაძეს, რადგან სწორედ ილიას უნივერსიტეტში შედგა დეისაძის რომანის პრეზენტაცია და არა მარტო ამიტომ... ამას მოჰყვა ტელეკომპანია „კავკასიაში“ განვითარებული მოვლენები (შეხლა-შემოხლა და ფიზიკური დაპირისპირება სახალხო მართლმადიდებლებსა და დეისაძის მომხრეებს შორის). გულიაშვილის თქმით, მისი ვაჟი დავითი რამდენიმე კაცმა გაიტაცა და მასზე ძალადობა სცადა, თუმცა ბიჭმა გაქცევით უშველა თავს, მალხაზ გულაშვილმა შვილის უსაფრთხოების მიზნით ცხინვალში გადასვლა მოახერხა...**



# მალხაზ გულაშვილის ოჯახის წევრები „მონანიება-2“-ის პერსონაჟები გახდნენ?

## დევნა პოლიტიკური და რელიგიური ნიშნით

სწორედ ამის გამო, გუშინწინ შინაგან საქმეთა სამინისტროს დავალებით, საქალაქო სასამართლო შედგა, მოსამართლემ მამა-შვილს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. მიზეზი – საზღვრის უკანონოდ გადაკვეთაა, რომელიც 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. მალხაზ გულაშვილი თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს: **„საზღვარი არ გადამიკვეთია, გადავედი ახალგორის რაიონში. თუ ცხინვალის რეგიონი სააკაშვილისთვის საქართველო არ არის – ეს სხვა ამბავია. ბრალდება აბსურდულია და ეს არის ჩემი და ჩემი ოჯახის პოლიტიკური და რელიგიური დევნა“** – აცხადებს ის სატელეფონო საუბრებში.

სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის ოფისში ამის შესახებ გუშინ საგანგებო განცხადებები გაკეთდა. გულაშვილის ადვოკატი **შალვა ხაჭაპურიძე** დღეს განაჩენს სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს. ქართული მართლმსაჯულების იმედი არა აქვს, რადგან მისი თქმით, **„სასამართლომ ვერდიქტი პროცედურის ნორმების დარღვევით გამოიტანა, ისე, რომ ადვოკატთა შუამდგომლობა არც წაიკითხა. ნახევარ საათში გამოაცხადა, რომ დაპატიმრებულ უნდა იქნენ მამა-შვილი გულაშვილები. ასეთი ერთობლივი განაჩენი მართლაც რომ უპრეცედენტოა“.**

შალვა ხაჭაპურიძის თქმით, „მილიონნახევარზე მეტი მოქალაქეა გასული საქართველოდან საზღვრის გვერდის ავლით, მაშინ ყველას მიმართ უნდა აღიძრას საქმე?! გუშინ 15 ქართველი დააკავეს თურქეთში ამ ბრალდებით. მაგრამ არც დაუჯარიმებიათ, ისე გამოაბრუნეს უკან“.

მალხაზ გულაშვილის მეუღლე ნანა გაგუა მეორე ვაჟიშვილის უსაფრთხოებით არის დაინტერესებული: „პაპუნა 15 წლის არის და შიშით გარეთ ვერ გამოსულა. მოვითხოვ ჩემი ვაჟის უსაფრთხოებას და პირდაპირ პასუხისმგებლობას ვაკისრებ განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელ დიმიტრი გიორგაძეს. ის შუაღამისას ოქმით ხელში მომადგა და მირჩია ხელი მომეწერა. 48 საათის განმავლობაში თქვენი ადვოკატი უნდა გამოცხადდეს პროცესზე, რადგან თქვენს ქმარ-შვილზე საქმეა აღძრულიო. იქნებ თავად გამოცხადდნენ-მეთქი, თქვა – არ არის საჭიროო. მისი ვიზიტისას თავი გადასაღებ მოედანზე მეგონა. ზუსტად ისე ხდებოდა ყველაფერი, როგორც „მონანიებაშია“ ასახული. პოლიტიკური დევნის გამო ჩემი 17 წლის ვაჟი 7 წლით ციხეში უნდა ჩასვან? ის არის აკვალანგისტი, ალპინისტი, რალისტი... ბავშვს მომავალს უნადგურებენ“.

**მალხაზ გულაშვილის საქმეს საქართველოში გამარჯვება არ უწერია. მისი ადვოკატის განცხადებით, აუცილებლად სტრასბურგის სასამართლოს მიმართავს. „ბრალდება იმდენად აბსურდულია, რომ იქ ამ საქმეს უდიდესი პერსპექტივა აქვს“,** – ირწმუნება შალვა ხაჭაპურიძე.

**თეა მოსია**

◉ ინფორმაცია

## ნოღაიდელი და ოქრუაშვილი ხელისუფლებას ცვლიანო

**ზურაბ ნოღაიდელმა ირაკლი ოქრუაშვილთან შეხვედრის შემდეგ პირველი კომენტარი გააკეთა. მათ საქართველოს ხელისუფლების შეცვლაზე ისაუბრეს.**

ნოღაიდელის თქმით, ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა დიდი ოპოზიციური გაერთიანება და შეთანხმება ძირითად პრინციპებზე, მათ შორის იდეოლოგიურ საკითხებზე. კონკრეტულად რომელი პოლიტიკური ძალები გაერთიანდებიან ამ მიზნის ირგვლივ, უცნობია.

– იმისათვის, რომ შევცვალოთ ხელისუფლება და საქართველოს დაუბრუნდეს განვითარებისა და გაერთიანების შანსი რაც ყველაზე მთავარი ამოცანაა ჩვენი და ეს შანსიც უფრო და უფრო ნაკლები აქვს ჩვენს ქვეყანას სამწუხაროდ, ამისათვის საჭიროა მძლავრი ოპოზიციური გაერთიანება, – აცხადებს ნოღაიდელი.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◉ ახალი კანონპროექტი

# გზით სარგებლობისთვის ფული უნდა გადავიხადოთ

**„ასფალტი ვჭამო?“ – ალბათ გაგიჭირდებათ იმის დათვლა, რამდენჯერ მოგისმენიათ ან თავად გითქვამთ ეს უკვე ფრთიან გამონათქვამად ქცეული ფრაზა, არადა ახალი გზები და მაგისტრალები ის თემა და ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმატებაა, რითაც ასე იწონებდა და იწონებს თავს მთავრობა პრეზიდენტიდან დაწყებული პარლამენტით დამთავრებული.** სულ ცოტა ხნის წინათ პრეზიდენტმა სააკაშვილმა საგზაო დეპარტამენტის უფროსი რამაზ ნიკოლეიშვილი ღირსების ორდენითაც კი დააჯილდოვა. რა თქმა უნდა, ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის გამართული გზები, ესტაკადები თუ მაგისტრალები აუცილებელია, მაგრამ რა წინ და რა უკან ხომ უნდა იცოდნენო, იკითხავს მავანი. ესეც რომ არ იყოს პრეზიდენტის სარბოლო „ფორმულა 3“-ით გამოცდილ და ნაქებ გზებს ნაკლსაც უძებნიან და იმ ახალ ინიციატივასაც იწუნებენ, რომლის მიხედვითაც გზით სარგებლობის საფასურის შემოღება იგეგმება, როგორც ცნობილია, ჯერჯერობით – მხოლოდ ტრანზიტული სატრანსპორტო საშუალებებისთვის, რომელთა სიმძიმე გადასატან ტვირთთან ერთად გზას ცვეთს.



ახალი ინიციატივის წინააღმდეგ ხმა პირველმა „ქრისტიან-დემოკრატებმა“ აიმაღლეს. ისინი გზით სარგებლობის საფასურის შემოღებას უხარისხოდ აშენებული გზების მოსახლეობის ხარჯზე შენახვით ხსნიან. პარლამენტის ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე დარწმუნებულია, რომ ნაუცბათევი მშენებლობების გამო (რაც თავისთავად უხარისხობის მთავარი მიზეზია, გზების სამშენებლო ბიზნესში გამეფებულ კორუფციას თუ არ ჩავთვლითძ გზები მალე გაფუჭდება და მათ შესაკეთებლად ხელისუფლებას რიგითი მოქალაქეებისგან ფულის ამოსაღებად კიდევ ბევრი რამის მოფიქრება მოუწევს.

**ლევან ვეფხვაძე, პარლამენტის ვიცე-სპიკერი, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის წევრი:** სოფელ შავშვებთან ჯერ კიდევ აუშენებელი ავტობანის მონაკვეთი უკვე ჩაშლილია. ეს კი მხოლოდ იმიტომ ხდება და მთავრობა გზების მშენებლობას მხოლოდ იმიტომ აჩქარებს, რომ იქ ვიღაცამ „ფორმულა 3“-ით გაიაროს და ამით იტრაბახოს.

ამ საფასურის გარდა მათ კიდევ ბევრი გადასახადის შემოღება მოუწევთ, რადგან გაკეთებული და დიდი ზარ-ზეიმით გახსნილი გზები უკვე დანგრევის პირასაა და გზების გასაკეთებლად აღებული კრედიტების გასტუმრებასაც ჩვენი თანამოქალაქეების ჯიბიდან ამოღებული თანხებით აპირებენ.

ეს განცხადება ლევან ვეფხვაძემ პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე გააკეთა და უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის მიხეილ მაჭავარიანისგან შემდეგი პასუხიც მოისმინა.

**მიხეილ მაჭავარიანი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი:** – თუ გსურთ საგზაო სამუშაოების შესრულების კონტროლში დაგვეხმარეთ, ხოლო თუ „ფორმულა 3“-ის არქონის გამო სწუხართ, მაშინ პირდაპირ თქვით და გამოგიყვანთ მას.

სიტყვა ერთია, საქმე კი მეორე. ფაქტია, რომ იმ დონეზე მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა, რასაც ოპოზიცია და მათ შორის „ქრისტიან-დემოკრატები“ თუნდაც გზების მშენებლობის პროცესზე ისურვებდნენ, არ არსებობს.

**ანა წიწილაშვილი**

◉ პრობლემა

# რა შუაშია ლარის კურსი წამლების ფასის ზრდასთან?

## არჩევნებმა ჩაიარა. ხელისუფლებას მოსახლეობის მხარდაჭერა აღარ სჭირდება?

**გუშინ პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე მიხეილ მაჭავარიანს „ქრისტიან-დემოკრატების“ რამდენიმე ბრალდებაზე მოუწია პასუხის გაცემა და გამოხმაურება. მათ შორის წამლების ფასების ზრდასთან დაკავშირებით. არჩევნების შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, რამაც ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სპექტრი ააფორიაქა ლარის კურსის მკვეთრი დაცემა და საერთოდ ეროვნული ვალუტის არამყარი მდგომარეობაა, რაც შეეხო მედიკამენტების ფასებსაც და ისინი საგრძნობლად გაიზარდა, თუმცა „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრი მაგდა ანიკაშვილი ამაში ხელისუფლებას და ფარმაცევტულ კომპანიებს ადანაშაულებს და მათ სრულ თვითნებობაში სდებს ბრალს.**

– ყოველთვის ხდება მანიპულირება ლარის კურსით. ხელისუფლებას უყვარს გამონათქვამი – „ბაზარი ყველაფერს დაარეგულირებსო“, მაგრამ ეს ჯანდაცვის სფეროს არ უნდა ეხებოდეს. უნდა მოიძებნოს ისეთი გამოსავალი, რომ არც ბიზნესი დაზარალდეს და არც ადამიანების სიცოცხლე დაიდოს სასწორზე. გათვალისწინებული უნდა იყოს სპეციალისტების აზრიც, რომლებიც აცხადებენ, რომ ფასების ასეთი ზრდის მიზეზი არ არსებობს. საინტერესოა, როდის უნდა დასრულდეს მსგავსი თავაშვებული მოქმედებები? მივესალმები იმ ფაქტს, რომ არასამთავრობო სექტორმაც აიმაღლა ხმა და მხარს გვიჭერს. – განაცხადა მაგდა ანიკაშვილმა.



დეპუტატს პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ სამწუხაროდ არიან ისეთი არაკეთილსინდისიერი ადამიანები, რომლებიც წამლებზე ფასების მატებას ბიზნესს ეძახიან, თუმცა დაამატა, რომ ამაზე მხოლოდ კონკრეტული ფაქტების წარდგენის შემდეგ შეიძლება საუბარი და „ქრისტიან-დემოკრატებს“ ურჩია, რომ საკითხი პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან ოთარ თოიძესთან ერთად გაარკვიონ.

შეგახსენებთ, რომ მედიკამენტებზე ხელმისაწვდომი ფასები, ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინასაარჩევნო დაპირება იყო, რომელიც როგორც ჩანს დაპირებად დარჩა (არც პირველი შემთხვევაა და არც უკანასკნელიძ.

რა თქმა უნდა ხელისუფლების ოპონენტებს ეს ნიუანსი არ გამოპარვიათ და არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარმა კონკურენტმა „ალიანსმა საქართველოსთვის“, წამლების გაძვირებას გუშინ პრესკონფერენცია მიუძღვნა.

– ხელისუფლებამ წინასაარჩევნო დაპირებები ერთი კვირაც ვერ შეასრულა. დაპირება, რომ ყველაფერი გაკეთდებოდა მოსახლეობის კეთილდღეობისთვის, როგორც მოსალოდნელი იყო პოპულიზმი აღმოჩნდა და ჩვენი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა უფრო დამძიმდა. რამდენიმე ნიშნულით დაეცა ლარის კურსი, დაახლოებით 7 პროცენტით გაძვირდა მედიკამენტები, არადა ეროვნული ვალუტის გაუფასურება არ უნდა მოქმედებდეს წამლის ფასზე, ვინაიდან მედიკამენტების სავალუტო წილი ძალიან დაბალია, ამის გარდა ფარმაცევტული კომპანიები 100-დან 8 პროცენტამდე ზედნადებს ადებენ ასეთ წამლებს და ლარის რამდენიმე პროცენტით გაუფასურებას წამლების ფასზე ზემოქმედება არ უნდა მოეხდინა. – განაცხადა „ალიანსი საქართველოსთვის“ წევრმა დავით საგანელიძემ.

პარტიაში მიაჩნიათ, რომ ფარმაცევტული კომპანიები ხელისუფლების მხრიდან არიან ზურგგამაგრებულები.

მოსახლეობას მმართველი პარტიის გამარჯვება ძვირი დაუჯდა, რადგან ეროვნული ვალუტის გაუფასურება სწორედ წინასაარჩევნო ბრუნვაში „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გაშვებულმა დიდი რაოდენობით ლარმა გამოიწვია. ასეთია „ალიანსი საქართველოსთვის“ მოკლე შეფასება, რომელსაც ალბათ ბევრი დაეთანხმებოდა.

**ანა კენჭოშვილი**

„ახალი ქართული იდეა“

# თუკი დღეს ხელისუფლებას რისამე შეიძლება ეშინოდეს, ეს ალტერნატიული ნაციონალური პროექტია



*„ახალი ქართული იდეის“ შემმუშავებელი მოძრაობის დაფუძნების მიზეზებსა და პერსპექტივებზე „ინტერპრესნიუსი“ ფილოსოფოს **ზაზა ფირალიშვილს** ესაუბრა.*

**— ბატონო ზაზა, პოლიტიკოსთა ჯგუფმა და საზოგადოების წარმომადგენლებმა ქვეყანაში ახალი ეროვნული მოძრაობის დაწყების შესახებ განცხადება სასტუმრო „თბილისი-მარიოტში“ 9 ივნისს გააკეთეს. საუბარია „ახალი ქართული იდეის“ შემუშავებაზე, რომელმაც დოკუმენტის სახე უნდა მიიღოს და დღევანდელ მსოფლიოში საქართველოს ადგილი განსაზღვროს. თქვენი აზრით, რას შეიძლება ნიშნავდეს ამგვარი მოძრაობის დაფუძნება და „ახალი ქართული იდეის“ ძიების დაწყება?**

— მე ვესწრებოდი ამ შეკრებას, რომელზეც ეს თემები განიხილეს. შემიძლია ვთქვა, რომ გულისტკივილი, რომელსაც ალტერნატიული ნაციონალური პროექტის არარსებობის გამო ადამიანები გამოთქვამდნენ, სრულიად გულწრფელი და ღრმა იყო. თუ შეკრებილთა შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც ამ ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის წყალობით პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებას ცდილობს, თავად ნაციონალური პროექტის იდეა არაფერ შუაშია. რას იზამ, საქართველოში ყოველთვის მოიძებნება გარკვეული რაოდენობა ადამიანებისა, რომლებიც თავისი რამდენიმედღიანი პოლიტიკური მიზნების იქით ვერაფერს ხედავენ და მზად არიან, ყველაფრით ისარგებლონ. თუკი ბოროტება მართლაც ცდილობს ჩვენი ქვეყნის დაუფლებასა და განადგურებას, მისი გზა სწორედ ჩვენს ამბიციებზე, სულსწრაფობასა და თავქარიანობაზე გადის.

**— იდეის ავტორებმა „ახალი ქართული იდეის“ მთავარ პრინციპებად — თვითმყოფადობა, უსაფრთხოება და პროგრესი დაასახელეს. უდავოა, რომ დღევანდელ სამყაროში ეს ტრიადა მართლაც აქტუალურია. თავის დროზე ილია ჭავჭავაძემ უმნიშვნელოვანეს ტრიადად ენა, მამული, სარწმუნოება მიიჩნია. ვის გაუჩნდა დღევანდელ საქართველოში ჭავჭავაძეობის ამბიცია?**

— მესმის, რასაც გულისხმობთ. ის გარემოება, რომ ილიამ თავის დროზე ამ სამი იდეით განსაზღვრა ჩვენი ეროვნული სტრატეგია, არ ნიშნავს, რომ დღეს ჩვენ არ შეგვიძლია მოცემული სიტუაციის ადეკვატური იდეების ძებნა და, საერთოდაც, ძიება უნდა შევწყვიტოთ. ილიას ტრიადა სამარადისოდ დარჩება ილიასეულად. თქვენს მიერ ჩამოთვლილი სამი იდეა წარმოადგენს არა ილიასეულის ჩანაცვლებას, არამედ მის გამჟღავნებას კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში. მხოლოდ დროს შეუძლია გამოაჩინოს, თუ რამდენად სიცოცხლისუნარიანი იქნება ის.

ვფიქრობ, თვითმყოფადობის, პროგრესისა და უსაფრთხოების იდეათა საფუძველზე მართლაც შეიძლება შეიქმნას ჩვენი ისტორიული სტრატეგია, თუ შეიძლება ითქვას, ჩვენი უახლესი ნაციონალური პროექტი. ეს არის სამი თავისთავად ცხადი რამ, რომელშიც ვერავინ ეჭვს ვერ შეიტანს, თუ, ცხადია, ქვეყნის მტერთან არა გვაქვს საქმე. ამ სამი იდეის გაშარჟება შეუძლებელია. ნაციონალური პროექტი მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება დაიწეროს, როდესაც საქმე იმის განმარტებაზე მიდგება, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს თვითმყოფადობა, პროგრესი ან უსაფრთხოება. პასუხი შეიძლება იყოს პროდასავლურიც, პრორუსულიც და დაბალანსებულიც.

საკითხს პირადად მე შემდეგნაირად დავსვამდი: როგორ უნდა შევინარჩუნოთ თვითმყოფადობა გლობალურ სამყაროში, როგორ უნდა გავთავისუფლდეთ იმ ნაციონალ-უტოპიური და ნაციონალმისტიკური ქიმერებისგან, რომლებიც ხელ-ფეხს გვიბორკავენ; თან თვითმყოფადობა ღირსეულად შევინარჩუნოთ ისე, რომ ახალი ქიმერების შეთხზვას არ შევუდგეთ, ახალი საზოგადოებრივი და ეროვნული იდენტობის სახით. ამ სახით საკითხი ადრეც ისმოდა, მაგრამ ვფიქრობ, რომ არასოდეს არ გვიგრძვნია მისი დასმის აუცილებლობა ისე, როგორც — დღეს.

ერთადერთი ძალა, რომელსაც სრულიად გარკვეული ნაციონალური პროექტი და მისგან გამომდინარე პოლიტიკური ქცევის ალგორითმები აქვს, არის ხელისუფლება. სამწუხაროდ, სხვა პოლიტიკური ძალების უდიდესი ნაწილი მის კოპირებას ახდენს ან იდენტობის შესახებ ოპერეტულ ნაციონალისტურ წარმოდგენებს ვერ სცილდება. განვლილი რამდენიმე წლის განმავლობაში ოპოზიციის მარცხი სწორედ ამგვარი ინტელექტუალური ბაზის არარსებობით იყო გამოწვეული. ვიღაცის ჩამოგდება არ შეიძლება ნაციონალური პროექტი იყოს. ეს უკანასკნელი ნიშნავს ქვეყნისა და საზოგადოების მომავლის შესახებ პოზიტიური იდეების ერთობლიობას, რომელზეც საზოგადოების წევრთა კრიტიკული რაოდენობა, თუნდაც გარკვეული პოლიტიკური ჯგუფი იქნება შეთანხმებული.

შიდაპოლიტიკურ ბატალიებში ადამიანების დაჯგუფება სწორედ ამგვარ პროექტთა ირგვლივ უნდა მოხდეს და არა — პიროვნებათა ირგვლივ. ვფიქრობ, ეს არის ის ბანალური ჭეშმარიტება, რომელიც ზოგჯერ ჯერაც უცხოა ჩვენი საზოგადოებისათვის. ამიტომაც არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება გაჩნდეს სხვა ჯგუფიც, რომელიც სხვა პროექტს შექმნის იმისა, თუ როგორ წარმოუდგენია გლობალურ სამყაროში ჩვენი ღირსეული თვითმყოფადობის შენარჩუნება. ვფიქრობ, ეს სავსებით ნორმალურია; მეტიც, ეს არის ნიშანი, რომ ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნება გამოდის იმ ბარბაროსული მდგომარეობიდან, როდესაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური ლიდერის ვინაობას და არა ქვეყნის იმ კონცეფციას, რომელიც ამ ლიდერს მოაქვს.

დარწმუნებული ვარ, ამ რამდენიმე წლის წინათ, ცოტა უკეთ რომ დავკვირვებოდით, ქვეყნის რა კონცეფციის მატარებლები იყვნენ ჩვენი დღევანდელი ხელისუფალნი, ამ მდგომარეობაში არ ვიქნებოდით. ამიტომაც, არ უნდა გავუშვათ ხელიდან შანსი, რომ ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნება ამ უკვე ახალ საფეხურზე გადავიტანოთ. დღეს ჩვენ მხოლოდ ეს თუ გვიხსნის. პოლიტიკური ბრძოლა უპირატესად იდეათა ბრძოლა უნდა იყოს და არა — მხოლოდ ძალაუფლებისთვის ბრძოლა.

**— შეიძლება კი, ქვეყანაში არსებობდნენ ისეთი ძალები, რომლებიც ამ თავისთავად ცხად გარემოებებს — თვითმყოფადობას, უსაფრთხოებასა და პროგრესს შეიძლება დაუპირისპირდნენ? ხომ არ ჰგავს ყველაფერი ეს ღია კარის მტვრევას?**

— გავიხსენოთ, როგორ წარმოაჩინა ეს შეკრება სამთავრობო მედიამ და იოლად მივხვდებით, რომ ასეთი ძალები შეიძლება არსებობდნენ. თუმცა, იმედს ვიტოვებ, რომ ისინი უპირისპირდებიან არა ამ იდეებს, არამედ პრეცედენტს იმისა, რომ ვიღაცამ შეიძლება გაბედოს და მათი ნაციონალური პროექტის ერთადერთობაში შეიტანოს ეჭვი. აშკარაა, რომ თუ დღეს ხელისუფლებას რაიმე არ აწყობს, ეს სწორედ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ამ ახალ საფეხურზე გადატანაა.

ხელისუფლებამ საკმაოდ კარგად იცის, რომ ახალი ქართული პროექტი, თუკი შეიქმნა, ახალ ენერგიას შესძენს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას და ამიტომაც შეეცდება, მის შესახებ მარგინალიზებული პოლიტიკური ფიგურები ალაპარაკოს და მავანი ფუნდამენტალისტების იდეოლოგიად მოიხსენიოს იგი. კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო: რატომ არ ჰქონდა ენერგია ოპოზიციის ბრძოლას განვლილი რამდენიმე წლის განმავლობაში? საქმე ხომ მხოლოდ მავანთა პოლიტიკური შეცდომები არ იყო, საქმე ხომ მხოლოდ ის არ იყო, რომ ოპოზიცია ვერა და ვერ შეიკრა ერთ სუბიექტად. უმთავრესი მიზეზი, ვფიქრობ, სხვა რამ გახლდათ: ოპოზიციამ ვერ დადო ალტერნატიული ნაციონალური პროექტი, რომელიც ადამიანებს კონკრეტულ პერსპექტივას დაანახებდა.

დღევანდელმა ხელისუფლებამ თავისი ნაციონალური პროექტი დასავლეთის შესახებ უტოპიურ წარმოდგენებზე ააგო და არა - რეალური ევრო-ამერიკული ცივილიზაციის პარადიგმებზე. ამის საუკეთესო მაგალითია, თუ როგორ ოპერირებენ ხელისუფლების იდეოლოგები სიტყვის თავისუფლების ცნებით.

იხ. 4 გვ.

გუშინდელი ფოსტიდან

# ინტუიცია არც ჩვენ გვღალატობს, ნიკა ბატონო, გამოგიცანით, ვინც ბრძანდებით!

**თქვენი კუთვნილი შენობიდან უზოდიშოდ გამოყრილო და სადღაც სამადლოდ შეკედლებულო პატივცემულო ლევნილო რედაქცია! „იმედმა“ სიმართლის ყოველგვარი იმედი გადაგვიწურა, მაგრამ იმის იმედი მაინც დაგვრჩა, რომ თქვენსავით დემოკრატიის კომბალმოხვედრილ მკითხველს ამ პატარა წერილს დაიბეჭდავთ და ჩემს სათქმელს მათქმევინებთ.**

13 მარტის მოდელირებული ომის შემდეგ ერთ-ერთი თქვენი მკითხველი სამართლიანად წერდა, რომ ცნობილი 7 ნოემბრის მერე დემოკრატიის ნილაბაფარებული ხელისუფლების მიერ პატარკაციშვილისთვის სამარცხვინოდ წართმეულ „იმედს“ სახელი უნდა გადარქმეოდა და „იმედის“ ნაცვლად „ელდად“ უნდა მონათლულიყო.

ამ წერილს სწორედ „იმედისგან“ ელდანაცემი გწერთ. ჩემი ელდანაცემობის მიზეზი კი ყოველგვარი გაგებით აშკარად და დიდად წონადაკლებული ნიკა ქავთარაძის ეგრეთ წოდებული „ინტუიციაა“, შოუ, რომლის ერთ-ერთი მიზანიც ნამდვილად ხალხის მოტყუება და მასხრად აგდებაა... ყველას თვალწინ ვილაც-ვილაცათა



მოსყიდვის მხიარულ ფონზე...

აი, თუნდაც რას ჰგავდა გუშინდელი გადაცემა მომღერალ ანრი ჯოხაძესთან ერთად, რომლის ვითომც ინტუიცია, როგორც იტყვიან, შეუიარაღებელი თვალითაც სულ ადვილად ამოსაცნობი იყო და დიდი გამჭრიახობა არც დამჭირვებია იმის მისახვედრად, რომ 20 ათასი წინასწარ უკვე „მოგებული“ ჰქონდა ისევე, როგორც მომდევნო ხუთშაბათს კიდევ ერთი მომღერალი, ამჯერად ეთერ კაკულია, აღმოჩნდება „ზებუნებრივი ნიჭით“ დაჯილდოებული და კვლავ ოცი ათასს თუ არა, ათი ათასს აუცილებლად „მოიგებს“...

ყველაფერთან ერთად მე კიდევ იმიტომ გწერთ ასე გაბრაზებული, რომ ამას წინანდელ ადგილობრივ არჩევნებში ჩვენი საცხოვრებელი კორპუსის ნაციონალი კოორდინატორი კორპუსის მცხოვრებთ, დაახლოებით ორმოცდაათი ოჯახის თითქმის 150 წევრს, თითოეულს ოც-ოც ლარს გვთავაზობდა მხარდაჭერისათვის, ამ შოუში კი არცთუ მაინცდამაინც მოკაშკაშე ვარსკვლავთა თანადგომის ნიხრი ოცი ათასამდეა გაზრდილი. თანაც სახალხოდ, საჯაროდ, ვითომ ყველა სხვა მოკვდავის ალღოგუმანისგან ფრიად განსხვავებული ინტუიციის წყალობით.

ეს ინტუიცია თუ ალღო-გუმანი კი იმაში მდგომარეობს, რომ ხელისუფლების მომხრე მოკაშკაშე თუ „მბჟუტავ-მოციმციმე“ ვარსკვლავმა თავის წინ შემაღლებულზე გაშეშებულ ქალთაგან და კაცთაგან (რასაკვირველია, ძირითადად ამ საქმისთვის „დასაქმებულთაგან“!) ზუსტად უნდა ამოიცნოს ის ერთი, რომელიც მხატვარი, სტომატოლოგი, თარჯიმანი ან თუნდაც სტადიონზე რადიოთი გამომცხადებელია. ერთი სიტყვით, რომლის ამოცნობასაც შოუს წამყვანი ნიკა ქავთარაძე იმჯერად დაავალებს, ანუ რაც თვითონ ნიკასაც ზემოდან დავალებული აქვს ამ სხვათაგან გადმოღებული პროექტის პლაგიატორ ავტორთაგან... თუმცა, არა მგონია, რომ სადმე სხვაგანაც ესოდენ შენიღბული პოლიტიკური მიზნისთვის იყენებდნენ ამ, როგორც ახლა ამბობენ, არცთუ დიდად „ყურებად“ შოუს.

ერთი რამ ნამდვილად ცხადია: ეს ინტუიცია თუ ალღო, საბედნიეროდ, არც ჩვენ, მაყურებლებს, გვაკლია (იქნებ ცოტა მეტიც გვაქვს, ვიდრე ჯოხაძესა და კაკულიას ანდა ბევრ სხვა იოლ ფულს დახარბებულ „ვარსკვლავს“!) და ვურჩევთ აწ აშკარად წონაში დაკლებულ ბატონ ნიკას (როგორც სამშაბათის ნანუკას შოუდან შევიტყვეთ!), რომ, თუ ინტუიცია არ ღალატობს, ადრე ხუმრობოხუნჯობით მოპოვებულ სატელევიზიო სახელს გაუფრთხილდეს. თუ არადა, როგორც „იმედს“ შეუცვალა მაყურებელმა სახელი და „ელდა“ დაარქვა, არც ის გაუჭირდება, რომ „ინტუიციას“ ახლა თაღლითობა უწოდოს, ხოლო რა უნდა ერქვას ასეთ შემთხვევაში „თაღლითობის“ შოუს წამყვანს, ამის გამოცნობა თვითონ ბატონ ნიკასაც არ უნდა გაუჭირდეს.

პატივისცემით

**ელდარ კუტალაძე,**

ყოფილი პოლიგრაფისტი,
თბილისი, 11 ივნისი.

## ჟურნალისტური გამოძიება

საქართველომ მაშინ დაკარგა რეალური შანსი, გამხდარიყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, როცა საერთაშორისო ორგანიზაციების („იუსაიდი“, „საერთაშორისო სავალუტო ფონდი“), სინამდვილეში კი ამერიკისა და რუსეთის ხელისუფალთაგან მიღებული „მეგობრული რჩევების“ გათვალისწინებით, 1993 წელს ე.შევარდნაძის ხელმძღვანელობით დაიწყო და 2010 წელს მ.სააკაშვილის მეთაურობით დასრულდა ქვეყნის ენერგოსისტემის გასხვისება.

ამით უხეშად დაირღვა არა იმისა, რომ შევარდნაძემ და სააკაშვილმა, უცხო ქვეყნების ფინანსური და პოლიტიკური ინტერესების დაცვის მიზნით, ჩაიდინეს ამაზრზენი დანაშაული, რაც უტოლდება სამშობლოს ღალატს. ამ გამყიდველური პოლიტიკის წყალობით ქვეყნის საწარმოთა უმრავლესობა გახდა არარენტაბელური. მათი პროდუქცია იმ შემთხვევაშიც კი, როცა უცხოურს აშკარად აღემატება ხარისხით, თავისი მაღალი თვითღირებულებისა და სიძვირის გამო სამამულო ბაზარზე ხდება არაკონკურენტუნარიანი.

იმავე საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით, თუ საერთაშორისო ხელშეკრულება ხასიათდება მხარეთა უფლებამოსილებების არათანასწორუფლებიანობით, მაშინ ის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე ბათილად უნდა იყოს ცნობილი.

თუმცა ეს გარემოება არ ხსნის საქართველოს მეთაურთა პასუხისმგებლობის საკითხს. აშკარაა, რომ საქართველოს ენერგეტიკის გასხვისებით ქვეყნის ხელისუფლებამ გადადგა შეგნებული და არა უნებლიე ნაბიჯი სახელმწიფოს ნგრევის მიზნით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ჩადენილია სამშობლოს ღალატის ტოლფასი დანაშაული.




საქართველოს ენერგეტიკის რუსეთზე გასხვისების პარალელურად, ე.შევარდნაძე ცინიკურად აკრიტიკებდა, ხოლო მ.სააკაშვილი უშვერი სიტყვებით ლანძღავდა და მტრად აცხადებდა რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების პირველ პირებს, რაც აშკარად ეწინააღმდეგება სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის საყოველთაოდ მიღებულ წესებს.

თუ რუსეთი ოკუპანტი და საქართველოს მარტო ქვეყნის კონსტიტუციის მოთხოვნა სახელმწიფო ენერგოსისტემის ხელშეუხებლობის შესახებ, საქართველომ, ფაქტობრივად, ხელიდან გაუშვა სახელმწიფოს მართვის და ბიუჯეტის ზრდის უძლიერესი ბერკეტი — ენერგეტიკა, რომელიც ამჟამად რუსულ „რაოესსა“ და „ენერგოპრომს“ ეკუთვნის.

შედეგად საქართველოს ხელისუფლებამ დაკარგა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების რეალური პერსპექტივა, რასაც მოჰყვა ქვეყნის აგრარული და სამრეწველო კომპლექსის განადგურება. საქართველოს ბაზარი გაივსო უცხოური წარმოების უხარისხო და ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქციით, რასაც ზედ დაერთო ფულადი მასის საზღვარგარეთ გადინება.

ქვეყანამ დაკარგა უფლება, დამოუკიდებლად მოახდინოს საკუთარი ენერგოგენერაციის ობიექტების მიერ გამომუშავებული ჭარბი ელექტროენერგიის ექსპორტი თურქეთში, რუსეთსა და სხვა ქვეყნებში. პარალელურად, ხელისუფლებამ 1994-2004 წლებში გაუმართლებლად, ფაქტობრივად, ყალბი მონაცემების გამოყენებით, არაერთგზის გაზარდა სამომხმარებლო ელექტროტარიფი. კერძოდ, 1994 წელს ენერგოტარიფი გაორმაგდა და გახდა 4 თეთრი, 1996 წელს ის 50 პროცენტით გაიზარდა, 1999 წელს მან ისევ მოიმატა 50 პროცენტით და მიაღწია 9 თეთრს, 2001 წელს ენერგოტარიფი მიუახლოვდა 12 თეთრს, 2004 წელს მტკიცედ დაიმკვიდრა 17-თეთრიანი ნიშნული.

ბუნებრივია, ენერგოტარიფის ზრდის პროცესი ამუხრუჭებდა და ანგრევდა საქართველოს ეკონომიკას, ამასთანავე უცხოურ კომპანიებს, რომელთა საკუთრებაშიც აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკა, უქმნიდა დამატებითი მოგების მნიშვნელოვან წყაროს.

ეს ყველაფერი დასტურია

### არიან თუ არა შევარდნაძე და სააკაშვილი სამშობლოს მოღალატეები?..

აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261 და 263 მუხლების მოთხოვნის გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, ჩვენი საგაზეთო პუბლიკაციის საფუძველზე, ვალდებული არიან, დაუყოვნებლივ შეუდგნენ ამ საქმის წინასწარ გამოძიებას.

ამ მოთხოვნის უგულებელყოფის შემთხვევაში, ხსენებული ორგანიზაციების ხელმძღვანელ პირებს ბრალად დაედებათ სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების მქონე ფაქტების დაფარვა და გახდებიან შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელმძღვანელობით სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი უმძიმესი დანაშაულის თანამონაწილენი.

შევარდნაძისა და სააკაშვილის დანაშაული იმითაც მძიმდება, რომ საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკის ობიექტების გასხვისების ხელშეკრულება არ ითვალისწინებს მხარეთა თანასწორუფლებიან პასუხისმგებლობას, რის გამოც საქართველოს ვალდებულებანი ბევრად აღემატება „მყიდველების“ პასუხისმგებლობას. უფრო მეტიც, „მყიდველებს“, ფაქტობრივად, არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ. ეს კი, ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, სავალდებულოს ხდის ყველა ასეთი ხელშეკრულების ბათილად ცნობას.

საერთაშორისო მოთხოვნებიდან გამომდინარე, ნებისმიერი საერთაშორისო დონის ხელშეკრულება მაღლა დგას საქართველოს კანონმდებლობასთან მიმართებაში, მაგრამ დამპყრობია, გაუგებარია, როგორ მოხდა, რომ 2010 წელს სააკაშვილის თაოსნობით საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთს გადასცა (უცნობია მართვაში თუ საკუთრებაში) ქვეყნის ენერგოგენერაციის ყველაზე ძლიერი საწარმო „ენგურჰესი“. ან როგორ გააჩუქეს „თბილსრესი“ სახელისუფლებო გუნდის წევრებზე, ყველასათვის ცნობილ ძმებ ბეჟუაშვილებზე, რომელთა ბიზნესინტერესები დაუმალავად უკავშირდება რუსეთს.

ჩვენ მიერ მოყვანილი ფაქტები აშკარად ადასტურებს, რომ შევარდნაძე და სააკაშვილი, მათი სახელისუფლებო გუნდის პირველი პირები არა მარტო სამშობლოს მოღალატეები არიან, პირდაპირ და აშკარად წარმოადგენენ რუსეთის ინტერესების დამცველებს. მათ, ფაქტობრივად, რუსეთს უსასყიდლოდ გადასცეს ქვეყნის ენერგეტიკა, რომლის ობიექტების რეაბილიტაციაზე დაიხარჯა ასეული მილიონობით დოლარი. ეს თანხა, საერთაშორისო კრედიტების სახით, ვალად დაედო ქვეყანას, მომავალ თაობებს, რასაც ვერანაირ გამართლებას ვერ მოუძებნი.

უდავოა, რომ სააკაშვილმა პირადი მიზნების გამო დაასრულა თავისი წინამორბედისა და მასწავლებლის დაწყებული საქმე. მისი „მოღვაწეობის“ თითქმის 7 წლის მანძილზე საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური და საგარეო-პოლიტიკური სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდა. ეჭვი არ გვეპარება, დადგება დრო, როცა ყოველივე ამისთვის მათ მკაცრად აგებინებენ პასუხს.

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო, „დრო და სივრცე“

## „ახალი ქართული იდეა“

# თუკი დღეს ხელისუფლებას რაიმესი შეიძლება ეშინოდეს, ეს ალტერნატიული ნაციონალური პროექტია

(მესამე გვერდიდან)

დეისაძე-გულაშვილის კონფლიქტისას მათ ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის ისეთი ინტერპრეტაცია შემოგვთავაზეს, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, საგრძნობლად განსხვავდება ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის განმარტებებისგან და დასავლეთშიც არა ჰყავს ბევრი მომხრე. ქართულმა რადიკალიზმმა დასავლური ღირებულებების დამკვიდრებაშიც იჩინა თავი — ჩვენში ამას ულტრალიბერალიზმი ეწოდა — და ყველაფერი ეს შემოგვთავაზეს, როგორც ჩვენი ნაციონალური პროექტი. თუ დღეს ხელისუფლებას შეიძლება რაიმესი ეშინოდეს, ეს ალტერნატიული ნაციონალური პროექტია, რომელიც დასავლურ ღირებულებათა უფრო რაციონალისტურ, ნაკლებად უტოპიურ აღქმაზე იქნება დაფუძნებული და რომელსაც მაღალი საზოგადოებრივი ავტორიტეტის მქონე ადამიანები გაახმოვანებენ.

არ მინდა, დღევანდელ ხელისუფლებას დავუკარგო, რომ მან თუნდაც თავისი რევოლუციური უტოპიით ჩვენი საზოგადოებრივი ძალების გაღვიძება შეძლო. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ის იდეოლოგია, რომელიც მათ ნაციონალურ პროექტს უდევს საფუძვლად და, რომლის მთავარი პრინციპებიც არის ახალი ადამიანისა და ახალი საზოგადოების შექმნა, დღეს ჩვენს საზოგადოებრივ ინტერესებს უპირისპირდება. მარ-

რაც შეეხება, მოსკოვისთვის მისაღები პირის ლიდერად მოვლენას: მოხდება ის, რასაც დავუშვებთ. დღეს მოსკოვისთვის პრაგმატული თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მისაღები პირი ხელისუფლების სათავეშია. გარდა ამისა, დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ ახალი ნაციონალური იდეის მომხრეთა შორის იყო ბევრი ისეთი ცნობილი ადამიანი, ვისაც ვერანაირად ვერ დასდებ ბრალს მოსკოვთან სიახლოვეში.

რაც შეეხება ოპოზიციას. მესმის, რასაც ბრძანებთ. ახალ ღვინოს ძველ ჭურჭელში არ ასხამენ, ყოველ შემთხვევაში, ისეთ ჭურჭელში, რომელიც ხშირი ხმარებით კრიტიკულად არის დაძველებული. მაგრამ, იმედი მაქვს, აქ სხვა მექანიზმიც იმოქმედებს: საზოგადოება თავად განდევნის იმ ნაწილს, რომელიც ხელს უშლის მას. გავიხსენოთ, 80-იანი წლების შემდეგ რამდენი პოლიტიკოსი ჩამოცილდა ასპარეზს იმის გამო, რომ ველარ გამოხატავდა საზოგადოების გულისთქმას.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენთან ჯერაც არ ჩამოყალიბებულა პოლიტიკიდან საკუთარი ნებით წასვლის ტრადიცია. ამგვარი ტრადიციის არსებობა საზოგადოებრივი სიმწიფისა და პიროვნული პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხის მაჩვენებელია. ჩვენებური პოლიტიკოსი მაშინაც კი არ მიდის პოლიტიკიდან, როდესაც მას უსტვენენ და, როდესაც მისი გამოჩენა ირონიულ ღიმილ-



თლმადიდებლობას ან რუსოფილურ წარმოდგენებს ამოფარებული რადიკალები მხოლოდ ხელისუფლებას თუ ეხმარებიან იმაში, რომ ნებისმიერი საკითხის დასმა იდენტობის შენარჩუნების აუცილებლობაზე იმთავითვე დაიმარხოს. ამიტომაც მგონია, რომ ჩვენთვის დღეს საშიშები არიან არა მხოლოდ ულტრალიბერალი ინტელექტუალური სნობები, არამედ — მათ წინააღმდეგ მებრძოლი ირაციონალური რადიკალიზმიც, ნაციონალური იდეის კარიკატურულ ორეულს რომ ქმნის.

**— რჩება შთაბეჭდილება, რომ „ძველი ოპოზიცია“ ახალი ნაციონალური პროექტის გამხმოვანებლად შეიძლება იქცეს? ეს მოძრაობა იმისთვის ხომ არ შეიქმნა, რომ შემდეგ მის ლიდერად მოსკოვთან დაახლოებული პოლიტიკური და კრემლისთვის მისაღები ფიგურა მოგვევლინოს?**

— შეკრებაზე მოკლე სიტყვა ვთქვი, რომელშიც აღვნიშნე, რომ ახალი ნაციონალური პროექტის შემუშავების იდეის დაკავშირება რომელიმე კონკრეტულ პოლიტიკოსთან ან პოლიტიკურ ძალასთან იმთავითვე დამარხავდა მას. ვფიქრობ, გამგები გაიგებდა.

სღა იწვევს. მას ხშირად არ ესმის, რომ თუ შეძლებს, მარცხის შემდეგ თავისი ვნებები მოთოკოს და გარკვეული დროის განმავლობაში მაინც გადგეს განზე, ამით მხოლოდ მოიგებს და ახალი ძალებით უკან დაბრუნების შანსიც მიეცემა. ახლა მე სრულიად ბანალურ გარემოებებს აღვწერ — ისეთს, რომელიც დასავლეთის ქვეყნებში ნებისმიერმა რიგითმა პოლიტიკოსმა იცის.

ჩვენთან კი, ადგილობრივ არჩევნებში ჯერაც არ დამარცხებულა ადამიანი, რომ უკვე ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე ან ეროვნულ დაუმორჩილებლობაზე ლაპარაკობს, ამით თავსაც იმარხავს და საზოგადოების პოლიტიკურ განვითარებასაც უშლის ხელს. ჩანს, ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს სასწავლი და ბევრი ჩვენგანისთვის სხვების გამოცდილება არაფერს ნიშნავს. მაინც იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი საზოგადოება თავად შეძლებს იმ პირთა, თუ პირთა ჯგუფების შერჩევას, ვისაც ახალი ნაციონალური პროექტის იდეასა და საკუთარ ბედს ანდობს.

**კობა ბენდელიანი**

◎ უსამართლო სამართალი

# რას ერჩიან, რატომ აწამებენ 85 წლის მოხუცს მიხეილ ხუბუტიას?

**ზუგდიდის მკვიდრის, მოსკოვში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენის, რუსეთში მცხოვრებ ქართველთა კავშირის თავმჯდომარის მიხეილ ხუბუტიას მამას — 85 წლის ასევე მიხეილ ხუბუტიას 6 წელზე მეტია სასამართლო ინსტანციებში უწევს სიარული.**

ზუგდიდში, რუსთაველის ქუჩაზე მცხოვრებმა, 1925 წელს დაბადებულმა მიხეილ ხუბუტიამ 1998 წლის დეკემბერში წალენჯიხის რაიონის სოფ. ლიის ტერიტორიაზე შეიძინა მიწის ფართობი 480 კვ.მ-ის ოდენობით, რაც გასცა წალენჯიხის მიწის მართვის სამმართველოს საჯარო რეესტრში, რის საფუძველზეც 1999 წლის ოქტომბერში გაიცა მიწის სარეგისტრაციო მოწმობა. 2001 წლის იანვარში მიხეილ ხუბუტიასა და წალენჯიხის ჩაიკოოპერატივის გამგეობას შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება,რომლის მიხედვითაც მ. ხუბუტიას საკუთრების უფლებით გადაეცა კიდევ 1000კვ.მ. მიწის ფართობი, რომელიც დარეგისტრირებული იქნა საჯარო რეესტრში. გარდა მიწის ფართობისა მ. ხუბუტიას საკუთრების უფლება ვრცელდებოდა იმ შენობა-ნაგებობაზე, რომლებიც განლაგებული იყო ამ ფართობზე. ე.ი. საბოლოო ჯამში მიხეილ ხუბუტიას კუთვნილმა მიწის ფართობმა შეადგინა 1480 კვ.მ; მას ამ მიწის ფართობზე გააჩნდა მისი შესყიდვის უპირატესი უფლება, რადგანაც იგი წარმოადგენდა მის მამა-პაპისეულ უძრავ ქონებას, რომლის მიერ იგი ჯერ კიდევ 1883 წელს იქნა შესყიდული. მიხეილ ხუბუტიამ მის მიერ შეძენილი მიწის ფართობზე ჩაატარა გარკვეული სამშენებლო სამუშაოები, ააშენა შენობა-ნაგებობები, რაზედაც გახარჯა 4560ლარი.

2004 წლის დეკემბერში წალენჯიხის რაიონის გამგეობამ მიიღო უკანონო გადაწყვეტილება, დაარღვია, რა მიხეილ ხუბუტიას კანონიერი საკუთრების უფლებები, მისი კუთვნილი მიწის ფართობი, მასთან შეთანხმებისა და მისი ნების საწინააღმდეგოდ, გამოუყო შინაგან საქმეთა სამინისტრის წალენჯიხის რაიონული განყოფილების სოფელ ლიის ქვეგანყოფილებას.

წალენჯიხის რაიონის გამგეობის თანამდებობის პირები, მიხვდნენ რა მათ მიერ დაშვებულ შეცდომას, შეეცადნენ ხუბუტიას მოტყუების გზით მიეღოთ მისი კუთვნილი მიწის ფართობის გაცემაზე თანხმობა. მათ 80 წლის მიხეილ ხუბუტიას, რომელიც იყო ნასვამ მდგომარეობაში გამოსტყუეს განცხადება, თითქოსდა იგი ნებაყოფლობით უთმობდა მათ მიწის ფართობს, სანაცვლოდ შეჰპირდნენ ამავე ოდენობის მიწის ფართობს სხვაგან, თუმცა ეს პირობაც დაარღვიეს და მისთვის მიწის ფართობი საერთოდ არ გამოუყვიათ. მ. ხუბუტიამ 3 დღის შემდეგ განცხადებით მიმართა წალენჯიხის გამგეობას, სადაც აღნიშნავდა, რომ მას მთვრალ მდგომარეობაში მყოფს მოტყუებით გამოსძალეს განცხადება მიწის ფართობის დათმობაზე და მოითხოვა მისი ანულირება, მაგრამ მას ყურადღება არ მიაქციეს, თანაც ამ განცხადების შედგენას არავინ არ დასწრებია და არც ნოტარიუსის წესით ყოფილა დადასტურებული.

2004 წლის დეკემბერში წალენჯიხის რაიონულმა სასამართლომ მიხეილ ხუბუტიას სარჩელთან დაკავშირებით განიხილა სამოქალაქო საქმე, მასზე წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიის ტერიტორიაზე, მის საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების საკუთრებით ცნობის თაობაზე და დააკმაყოფილა მიხეილ ხუბუტიას მოთხოვნა.

წალენჯიხის რაიონული სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილება მოპასუხე მხარის მიერ გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი და მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები მიხეილ ხუბუტიას საკუთრებად აღიარა.

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილება კვლავ გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში, მაგრამ არც ამჯერად დააკმაყოფილეს წალენჯიხის რაიონის გამგებლის მოთხოვნა. ძალაში დარჩა წალენჯიხისა და ქუთაისის სასამართლოების გადაწყვეტილებები.

ამის შემდეგ წალენჯიხის რაიონული გამგეობის უკანონო გადაწყვეტილების საფუძველზე შს წალენჯიხის რაიონულმა განყოფილებამ გაეროს „იუნომიქის“ მეშვეობით მაინც დაიწყო მიხეილ ხუბუტიას საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთზე საქმიანობა, დაანგრია მასზე არსებული შენობები და ამჟამად ამ ადგილზე წამოჭიმულია ლიის პოლიციის ქვეგანყოფილების შენობა.

ასეთი რამ ალბათ მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდეს.

მოგვიანებით, გარკვეული ძალების ზემოქმედებისა და ზეწოლის შედეგად, სასამართლოებმაც შეცვალეს თავიანთი პირვანდელი გადაწყვეტილებები და გაამართლეს და დააკანონეს მიხეილ ხუბუტიას საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე პოლიციის შენობის არსებობა.

უკანონობით და უსამართლობით გაწამებულმა მიხეილ ხუბუტიამ მაინც გაუგზავნა საჩივრის წერილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს კოტე კუბლაშვილს. „2009 წლის 29 ოქტომბერს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის მოსამართლეებმა მიიღეს უკანონო გადაწყვეტილება ჩემი საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ იმ მოტივით, რომ თითქოსდა მე საკასაციო საჩივარი არ მქონდა შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, რაც არასწორია. გთხოვთ განიხილოთ ჩემი საჩივარი, გააუქმოთ უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ოქტომბრის განჩინება და განიხილოთ ჩემი საკასაციო საჩივარი.“ — ნათქვამია საჩივრის წერილში, რომლის პასუხსაც მიხეილ ხუბუტია დღემდე ელოდება.

ეს საქმე ახლა სასამართლო ლაბირინთებში მესამე წრეს გადის.

ამდენი უსამართლობით გატანჯულ პიროვნებას ესეც არ აკმარეს და ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ის 500 ლარითაც დააჯარიმა მაზუთის ნარჩენის მანქანის საბურავების საშუალებით ღია წესით დაწვის გამო.

მიხეილ ხუბუტიას ზუგდიდის სუპერმარკეტის ტერიტორიაზე მდინარე ჩხოუშიას მარცხენა სანაპიროზე გააჩნია საკუთარი შემოკავებული ტერიტორია, რომლის გავლითაც გაყვანილია საკანალიზაციო მილი. მის კუთვნილ ტერიტორიაზე მოწყობილია საკანალიზაციო ჭა, რომელიც არეგულირებს ფეკალური მასისა და ნახმარი ტექნიკური წყლის გადინებას. წვიმების შედეგად ადიდებულმა მდინარემ გაწყვიტა მასზე გამავალი საკანალიზაციო მილი და დააზიანა ის ჭა, რომელიც მიხეილ ხუბუტიას ტერიტორიაზე მდებარეობდა. ამის გამო ფეკალური მასა მთლიანად ამოდიოდა ჭიდან და აბინძურებდა ირგვლივ ტერიტორიას. საჭირო გახდა საკანალიზაციო ჭის ამოწმენდა, ამ ჭის თავზე დადგმული იყო მეტალისგან დამზადებული ავზი, რომლის აღება და გადატანა სპეციალური ამწის გარეშე შეუძლებელი იყო. აქვე გადიოდა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი, რის გამოც ეს მეტალი ელექტროშემდუღებლის მეშვეობით იქნა დაჭრილი. „მისი დაჭრის დროს აალდა მაზუთის ნარჩენი, რომელიც ავზის კედლებზე იყო და უმნიშვნელო მოცულობით გამოიყო კვამლი, რომელსაც არანაირი ზიანი არ გამოუწვევია, არც საბურავების დაწვას ჰქონია ადგილი“ — აცხადებს მიხეილ ხუბუტია. გარემოს დაცვის ინსპექტორმა გ. ქვარაიამ მ. ხუბუტიას შეუდგინა აქტი და 500 ლარით დააჯარიმა, რაც ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერაც იქნა დადასტურებული. „გარემოს დაცვის ინსპექტორმა ოქმში შეიტანა სიყალბე, სასამართლომაც დაუშვა უხეში შეცდომა. მე შევძელი ფეკალური მასისა და ბინძური ნახმარი ტექნიკური წყლის გავრცელების აღკვეთა. სასამართლომ კი ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, თუ რა საფრთხეს წარმოადგენდა შექმნილი მდგომარეობა და უფრო მნიშვნელოვნად ჩათვალა ჩემი, 90 წელს მიღწეული ადამიანის დაჯარიმება და არა საქმის არსებითად კამოკვლევა“ — აღნიშნა მიხეილ ხუბუტიამ.

ეს საქმე ჯერ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში იქნა გასაჩივრებული, რომელმაც ძალაში დატოვა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, შემდეგ საქმემ უზენაეს სასამართლოში გადაინაცვლა. უზენაესმა კი როგორც იქნა მიიღო კანონიერი გადაწყვეტილება, გააუქმა ზუგდიდისა და ქუთაისის სასამართლოების გადაწყვეტილებები და გაამართლა მიხეილ ხუბუტია, რომელსაც აღარ მოუწევს 500 ლარის ჯარიმის გადახდა. ამ საქმის, მოგებას მიხეილ ხუბუტიასათვის უფრო პრინციპული და მორალური მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე მატერიალური.

ასე გაუმწარეს სიცოცხლე ამ სიბერის ჟამს მიხეილ ხუბუტიას „მესამე ხელისუფლების“ წარმომადგენლებმა, რომლებიც წარმატებით ასრულებენ პირველი და მეორე ხელისუფლებების მითითებებს.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

◎ ვარაუდი

# ლარის კურსის დაცემა მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს გააუარესებს



*ბოლო დროს ლარის კურსის ვარდნამ მოსახლეობას ახალი საფიქრალი გაუჩინა. ეროვნული ვალუტის ყოველდღიური გაუფასურება მის ისედაც მცირე შემოსავალს ფასს საბოლოოდ დაუკარგავს და როგორც ზოგიერთი ექსპერტი ვარაუდობს, ეს, შესაძლოა, სერიოზული სოციალური მღელვარების საფუძველიც კი გახდეს.*

*რა ელის ლარს, რა თანმდევი შედეგები მოჰყვება მის გაუფასურებას და როგორია გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან? — ამ საკითხზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ ეკონომიკის ექსპერტს ირაკლი ლექვინაძეს ესაუბრა.*

**— ბატონო ირაკლი, ლარის კურსის დაცემა გრძელდება, რაც მოსახლეობის მსყიდველუნარიანობაზე უარყოფითად აისახება...**

— ცხადია, ეს პირდაპირ კავშირშია სამომხმარებლო ფასების ზრდასთან, რადგან ჩვენი ქვეყნის ბაზარზე პროდუქციის, თანაც პირველადი მოხმარების პროდუქციის, 80 პროცენტი იმპორტირებულია; მაგალითად: ნავთობპროდუქტები, ხორბალი, შაქარი, ზეთი... ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ამასთან, ადგილზე წარმოებული პროდუქციის საფასო კომპონენტებშიც იმპორტირებული პროდუქციის ელემენტები შედის, რაც ფასზე აისახება, მაგალითად, იგივე ნავთობპროდუქტები. ფასების ზრდა უკვე დაწყებულია. თუ ლარის დაცემა გაგრძელდება, ფასების ზრდაც მის შესაბამისად მოხდება. ეს კი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს გააუარესებს, რადგან შემოსავალი უმრავლესობას ლარში აქვს.

**— ალბათ, ბანკების მსესხებლებსაც უფრო გაუჭირდებათ სესხების გასტუმრება...**

— აქ პრობლემა ასეთია: საქართველოში სესხების 80 პროცენტი უცხოურ ვალუტაშია გაცემული, ვისაც კრედიტი დოლარში აქვს, შემოსავალი კი — ლარში, მისი მდგომარეობა გაუარესდება. ვისაც ორივე ლარში აქვს, მისი მდგომარეობა არ შეიცვლება. თუმცა, იმის გამო, რომ კრედიტების 80 პროცენტი უცხოურ ვალუტაშია, ქვეყანაში მსესხებელთა ყოფაც მძიმდება...

**— ანუ, გამოდის, რომ სერიოზულ კრიზისს ვუახლოვდებით. ამ გადასახედიდან გვაქვს იმის თქმის საფუძველი, რომ საქართველოს სერიოზული სოციალური აფეთქება ემუქრება?**

— როცა ცხოვრება ძვირდება, ცხადია, მეტი ადამიანი ღარიბდება. თუმცა,სოციალური აფეთქების საფრთხეზე საუბარი ძალიან მკაცრი შეფასება იქნებოდა. ლარის კურსის მყისიერი ცვლილება, რაც რამდენიმე დღის წინათ მეორედ მოხდა, არ არის ისეთი პროცესი, რომელსაც სოციალური აფეთქების გამოწვევა შეუძლია. ამის ნიშნებს ვერ ვხედავ. თუ ეს პროცესი უსასრულოდ გაგრძელდება, კრიზისამდე მივალთ. თუმცა, ეკონომიკაში კრიზისს ეროვნული ვალუტის გაუფასურების გარდა, ბევრი სხვა ფაქტორიც იწვევს. შექმნილ ვითარებაში მთავარი როლი ეროვნულ ბანკს ეკისრება. მას აქვს სათანადო საერთაშორისო სავალუტო რეზერვები, რომ კურსი რეგულაციის ფარგლებში ამყოფოს და ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს. შეიძლება, ლარის გაუფასურების პროცესი ნელა ხდებოდეს, მაგრამ ისე, რომ ფასებზე მყისიერად არ აისახოს. თუ ამ პროცესს ნებაზე მივუშვებთ და საქმეში ეროვნული ბანკი არ ჩაერევა, მკვეთრი რყევები, შეიძლება, ძალიან ხშირად იყოს. მაგრამ, ვიმეორებ, ეროვნულ ბანკს ამის აღსაკვეთად ყველა ბერკეტი აქვს. ეკონომიკური სტაბილიზაციის პროცესში ეროვნული ბანკი უნდა ჩაერიოს. იმპორტიორი, ექსპორტიორი, მოსახლეობა და ხელისუფლება — ყველა თანხმდება იმაზე, რომ სტაბილურობა მნიშვნელოვანია.

**— ბატონო ირაკლი, ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი აცხადებს, რომ ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი რყევა აშშ დოლარის მიმართ მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ არის და ეს მსოფლიოს არაერთ ქვეყანას აწუხებს...**

— ბოლო პერიოდში რამდენიმე ქვეყნის ეროვნული ვალუტა აშშ დოლარის მიმართ მართლაც გაუფასურდა, რაც გლობალური ფინანსური კრიზისის გავლენის შედეგია. საქართველოში ლარის გაუფასურებას კი უფრო საკუთარი მიზეზები აქვს, რადგან ჩვენი ეკონომიკა გლობალურ ბაზრებთან ნაკლებად არის ინტეგრირებული. ჩვენ საგადამხდელო ბალანსში დიდი სხვაობა გვაქვს. მოგეხსენებათ, საგადამხდელო ბალანსი შედგება სავაჭრო ბალანსისაგან, რაც არის ექსპორტ-იმპორტის მოცულობას შორის სხვაობა და სადაც იმპორტი ექსპორტს ოთხჯერ აღემატება. საგადამხდელო ბალანსი ასევე შედგება მიმდინარე ანგარიშისგან, რომელიც მოიცავს ინვესტიციებსა და უცხოეთიდან მიღებულ ფულად გზავნილებს. ლარის გაუფასურების ბოლო ტენდენცია იმითაა გამოწვეული, რომ უცხოურ ვალუტაზე ეროვნულ ვალუტასთან შედარებით მეტი მოთხოვნილებაა, რადგან სავაჭრო ბალანსი არის უარყოფითი, ინვესტიციები კი — მკვეთრად შემცირებული. მართალია, ბოლო პერიოდში ფულადი გზავნილები გაიზარდა, მაგრამ ეს უარყოფით სალდოს ვერ აბალანსებს. შესაბამისად, უცხოურ ვალუტაზე გაზრდილი მოთხოვნილება ლარის კურსს „აწვება“ და მის გაუფასურებას იწვევს.

**— ემუქრება თუ არა ლარს კუპონიზაციის საფრთხე?**

— არა მგონია, ეს პერიოდი ერთხელ უკვე გავიარეთ, მაგრამ მაშინ პროცესები ძალიან უმართავი იყო. ლარის კუპონიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუკი ეროვნული ბანკი ძალიან დიდი რაოდენობით ფულს დაბეჭდავს და მიმოქცევაში გაუშვებს, რაც არარეალურად მიმაჩნია და რის საფრთხესაც ვერ ვხედავ.

პოეზია

# შაშვი

შოთა ნიშნიანიძეს

1.

**როცა შაშვი გალობდა,**
**ღვთისმშობელი მწყალობდა!**

დილა მშვიდობისა, შაშვო! შაშვო, დილა მშვიდობისა!...
შენ ვინ მოგცა ჩემი საშვი, გალობის და მშვილდობისა?!

აგერ სურო ამოსულა, ინდი-მინდი, ფერად შინდი...
აგერ სურო, აგერ შინდი, ჩემს ბაღჩაში შემოფრინდი!..

ნახე ჩემი მეტაფორა, ჩემი მსხმოიარე ყანა,
მე ხომ შენი ანაფორა მეტაფორამ შემაყვარა!

შაშვო, შაშვო, შაშვო შავო... შაშვო, ანაფორიანო,
რატომ აღარ მაძლევ საშველს, რატომ ამაფორიაქე?!

ჩემი მკაცრი მაესტრო ხარ, დირიჟორი დიდებული,
მე ხომ შენი შეგირდი ვარ, ჩანთაგადაკიდებული...

ჩანთაში მაქვს მეტაფორა, მძიმე, როგორც ანაფორა,
შენ ხარ ჩემი ყველაფერი, ან შენ, ან სხვა არაფერი!

ფრთა გაშალე, ფრთა გაშალე, ანაფორასავით შავი,
როცა მოვკვდე, ეგ ფრთა შავი ნიავივით აშრიალე.

2.

შენი გალობიდან ვიშვი, ჩემო ფრთაკამარა შაშვო,
შენს კონცერტზე არ შემიშვეს, რადგან ვერ ვიშოვე საშვი,

შენ ბულვარის ბელადი ხარ, ბიბლიური უფალი ხარ,
გენიოსი პოეტი ხარ და ჩემსავით უფულო ხარ...

მაგრამ რითაც ღარიბი ხარ, სწორედ იმით მდიდარი ხარ,
შაშვო, შაშვო, შავო შაშვო, მალე უფალთანაც მიხვალ...

ღარიბი ხარ, ღატაკი ხარ, უფულო და უსახლკარო,
შენ შენი ხმით მიგალობე, მე ნიავს არ მოგაკარებ...

ჩემს ბულვარში იგალობე, იმღერე და იბატონე,
მე შენ ცოცხალს ვეღარ მნახავ, თუკი ერთხელ მიმატოვებ!..

3.

აგერ არის ჩემი ბაღჩა, მე რომ სიყმაწვილე დამრჩა,
იმის მერე გაზაფხული მეორმოცედ მოიფარჩა...

სად ხარ, ჩემო სიყმაწვილევ, ჩემო სანატრელო შაშვო,
ნეტავი მეც ვიყო ბავშვი და ბავშვივით გეთამაშო...

მაგრამ ახლა, დიდობაში, ახალ-ახალ მშვიდობაში,
ყველა ჩემი სათამაშო ჩავდე ნოეს კიდობანში...

გახსენი და ითამაშე, იმღერე და იგალობე,
მე კი შენი ტკბილი ჰანგი ყოველ დილით მიწყალობე...

გახსენი და ითამაშე, ნატვრის ხეა კიდობანში,
რაც ვიპოვე ბავშვობაში, დამეკარგა დიდობაში.

ჟანგმა ჭამოს, ჭირმა ჭამოს, ჩემი კაჟიანი თოფი,
მე სხვა თოფი არ მჭირდება, შენი მაჭახელა მყოფნის.

4.

შენსავით რომ შაშვი ვიყო, დავაღამებ გალობაში,
ვიცი, მალე დამიჭერენ, დამაწყვდევენ გალიაში...

ვნახე, ჩემი თვალით ვნახე აკრძალული გალობანი...
ყველგან დამიგებენ მახეს, თუ არ უფლის წყალობანი.

შენსავით რომ შაშვი ვიყო და მგოსანი ნიჭიერი,
ვიქნებოდი ზეციერი, არა მხოლოდ მიწიერი...

ჩემი მაჭახელას ლულა კიდობანში მიმალულა,
ბუჩქებშია მიმალული ჩემსკენ მოშვერილი ლულა!

ჟანგმა ჭამოს, მიწამ ჭამოს, შენზე მოშვერილი თოფი,
მე სხვა თოფი არ მჭირდება, შენი მაჭახელა მყოფნის...

შენი საყვარული სურო ჩემს ეზოში ამოსულა,
მხარზე შემოვიდგამ სურას, შენთან გადავიღებ სურათს.

ჩემს ბაღჩაში იგალობე, იმღერე და იბატონე,
მე შენ ცოცხალს ვეღარ მნახავ, თუ ერთხელაც მიმატოვებ!..

შაშვო, შენ რომ გალობ,
ღვთისმშობელი მწყალობს!

**შოთა ზოიძე,**
ქ. ბათუმი 15.IV.2010 წ.

ეს ჩვენი ისტორიაა

# ლევან ბატონიშვილის „სიყვარულის ნექტარი“

**მეფე ერეკლეს, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო აშფოთებდა ტახტის მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილი. დღეს იქნებოდა თუ ხვალ, იგი ხომ ქართლ-კახეთს სათავეში უნდა ჩადგომოდა, ბატონიშვილი კი, თუმცა ადრე მამამისი ამბობდა, დიდი ხელმწიფე გახდებაო, სულ უფრო უმოქმედო ხდებოდა, ისე გასუქდა და მოუქნელი გახდა, რომ ცხენზეც კი ვერ ჯდებოდა, რაც შემდეგ 80 წლის მის მამასაც კი არ უჭირდა. პირდაპირ მგლის მადა ჰქონდა, ზაქის ხორცი უყვარდა, რის გამოც ხალხმა „ზაქიჭამია დაარქვა“, ალაზნის ორაგულს რა სჯობს, იმდენი ჭამა, რომ რამდენჯერმე ცუდადაც კი გახდა. ექიმები უკრძალავდნენ, მაგრამ რას გააწყობდნენ.**

სამაგიეროდ, მეფეს დიდად ახარებდა ლევანი, უფროსი ვაჟი იმათაგან, დარეჯან დედოფლისგან რომ შეეძინა. როცა ერეკლემ გადაწყვიტა ლეკებისაგან (და სხვა მტაცებლებისგანაც) თავის დასაცავად მორიგე ჯარი შეექმნა, სადაც მოსახლეობის წასახალისებლად თვითონ პირველი ჩაეწერა, ამ საქმეში უკვე საკმაოდ ხანდაზმულ მამას პირველი ამოუდგა მხარში 18 წლის ლევან ბატონიშვილი. თვიურად ამ ლაშქრობაში, რაც ქართლ-კახეთისათვის უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო, დაახლოებით ორი ათასი კაცი გამოდიოდა. იგი სასაზღვრო ადგილებს იკავებდა, გზას უკრავდა მოთარეშეებს, რომლებმაც დიდად დააზარალეს ქვეყანა. ამის აღწერას ჩვენ მრავალგზის ვნახულობთ პაპუნა ორბელიანის ნაშრომში „ამბავნი ქართლისანი“. მორიგე ჯარს დაუღალავად ხელმძღვანელობდა პირდაპირ მამისებური ენერგიით და შემართებით დაჯილდოებული ლევანი, რომელიც მტრების დევნაში აღამებდა და ათენებდა. და აი საოცრება – სულ რაღაც ორი წლის მანძილზე ლეკების თავდასხმა თითქმის შეწყდა, ახალციხის მონათა ბაზარი დაიშრიტა, იქ ტყვეები აღარავის მიჰყავდა, ლეკებმა, სხვა გზა რომ აღარ ჰქონდათ, საქართველოს თავი დაანებეს (ახლა გლეხობას უკვე შეეძლო ხვნათესვისთვის და მამულის მოშენებისთვის ეზრუნა) და ყურადღება უკვე აზერბაიჯანს მის სუსტად დაცულ სახანოებს მიაპყრეს.

ლევან ბატონიშვილმა დიდი სახელი და უზომო სიყვარული მოიპოვა, აი, რას წერდა დავით ბატონიშვილი, ლევანის ძმისწული.

„ესრეთ იქმნენ შიშნეულ ლეკნი, რომ ვერღარა სადა იკადრეს გამოსვლა და ესრედ დამშვიდდა ქვეყანა, რომელ ღართის კარსა შინა და სხვათა სამტეროთა ადგილთა დედაკაცნი ვიდოდეს თვინიერ კაცისა და აშენდაცა მრავალნი მოოხრებული, სოფელნი, ვითარცა კახეთსა შინა, ეგრეთცა ქართლსა და სომხითსა შინა და ლორეცა“.

სანამ ლეკებს დათრგუნავდა, უფლისწულს მოსვენება არა ჰქონია. უდროო დროსაც კი ამხედრებულა და მტრისთვის არაფერი შეურჩენია. ზოგჯერ ლეკები ხომ ისე თავხედობდნენ, რომ თბილისის შემოგარენშიც კი გამოჩნდებოდნენ ხოლმე. ერთხელ, როცა ლევანი ნებივრად ბანაობდა, მას შეატყობინეს, რომ დედაქალაქის ახლოს მოთარეშეთა რაზმი გამოჩნდა. ლევანი სწრაფად მოემზადა, მტკვრის გაღმა კუკიაზე გავიდა და ვინც შეკრიბა, მყისვე იახლა (ეს იმ დროისათვის ჩვეულებრივი ამბავი იყო), გლდანთან მტრებს დაეწია და თუმცა მოთარეშენი მასზე მრავალრიცხოვანი იყვნენ (მთელი 600 კაცი!) სასტიკად დაამარცხა და ტყვეები დააყრევინა. ლევანმა ჭალასთან, მისაქციელთან და სხვაგანაც სძლია ლეკებს.

გავიხსენოთ ერთი შესანიშნავი ხალხური ლექსი:

**ხმალი სჭრის ბაგრატოვნისა, ნეფისა ერეკლისაო.**
**ნეტავი გამაცნობინა, ლევანს უქებენ შვილსაო,**
**სალეკო შამაამტვრია, ზვავმა ვით წვერი ტყისაო;**
**წავიდა სარუსეთოდა, საქართველოი ხკვირსაო...**
**გამააყოლა ჯარები, ხესხები ათას ფრისაო,**
**ლევან ქალაქჩი ჩამახდა, ჭექა მაიღა ცისაო,**
**ლეკთ უფროსები შაშინდა, „ჩვენკე რაით იქმს პირსაო,**
**მაგან თუ პირი ჩვენკე ქნა, საქმე ჭირს დაღისტნისაო.“**

გარდა მორიგი ჯარის მარჯვედ მეთაურობისა, ახალგაზრდა ლევანი (რომელიც 1756 წლის თებერალში იყო დაბადებული) კიდევ არაერთ საქმეშიც გამოირჩა. კათალიკოს ანტონ I-თან ერთად მონაწილეობდა რუსეთში ელჩობაში, რათა ამ ქვეყანას საქართველო მფარველობაში მიეღო. აქედან მაშინ არაფერი გამოვიდა. თავის უფროს ძმა გიორგისთან ერთად (რომელსაც ლევანი ძალიან უყვარდა) დაიმორჩილა განდგომილი ქსნის ერისთავი. ამას მოჰყვა ძალიან დადებითი შედეგი –ქსნის საერისთავოს გაუქმება – ლევანმა მონაწილეობა მიიღო მსხვილი თავადების დათრგუნვაში, რითიც ცხადია, მათი გამძვინვარება გამოიწვია. თავადები, შეეცდებოდნენ მის წინააღმდეგ რაიმე ეღონათ.

და აი დიდი უბედურება: 1781 წლის თებერვალში, ვეჟინში ყოფნისას მოულოდნელად გარდაიცვალა ლევან ბატონიშვილი. ერეკლეს და მთელ საქართველოსაც პირდაპირ მეხი დაატყდა თავს.

გასარკვევი იყო, მაინც რა მოხდა, რამ შეიწირა 25 წლის ლევანი, ერეკლეს იმედი და ბურჯი, აუღებელი ციხე-სიმაგრე და ბოძი?!

ამის შესახებ რამდენიმე ვერსია არსებობს. მკითხველს, მათი გაცნობის შემდეგ, ბევრი ფიქრი და დასკვნების გამოტანა მოუხდება.

ერთი ცნობა ასეთია: ლევანმა ალაზნის ნაპირებთან ლეკების რაზმი დაამარცხა, ველისციხეში კიდევ ახალ რაზმს მოელოდა. რახან საფრთხე თავიდან იქნა აცილებული, ვეჯინში, თავად იოანე აბაშიძის ოჯახში (ერეკლეს მეორე ცოლის, ანას ძმის) გამართულ ქორწილზე მიიპატიჟეს. აქ მას მოსწონებია მეზობელი სოფლის მებატონე თავად ასათ ვაჩნაძის ცოლი, რათა სუფრაზე ჩხუბი არ დაწყებულიყო, ვაჩნაძის მეუღლე ააყენეს და კარდენახისაკენ გაამგზავრეს. ლევანი, რომელიც, თუ ამ გადმოცემას დავუჯერებთ, კარგად შეზარხოშებული ყოფილა (სხვა ცნობით, იგი, მუდმივად მობილიზებული, ღვინოს მაინცდამაინც არ ეტანებოდა!), ქალს გამოდევნებია. ვაჩნაძის ცოლს ეს დიდ შეურაცხყოფად მიუღია და ლევანისთვის მუცელში დანა ჩაუცია. დაჭრილი ბატონიშვილი ვეჯინში დაბრუნებულა და იმავე ღამესვე გარდაცვლილა.

ჩვენ მალე ვნახავთ, თუ რამდენად სანდოა ეს ცნობა, თუმცა წინასწარ მაინც თავზარდაცემული ერეკლეს რეაქციას გავეცნოთ. ალექსანდრე ორბელიანი (ლევანის დისწული) წერს: „მეფის ირაკლის ოჯახობის მტრებმა ამით ისარგებლეს, რომ იმ უსვინდისოებმა ხმები დაყარეს: ლევან ბატონიშვილზე მისწრობია ერთი კაცი და იმ კაცსა თავის ცოლზედ ხანჯლით გაუგმირავსო ლევან. ეს ამბავი მაშინვე მეფეს ირაკლის მოხსენდა, და რომელმაცა არც თვითონ და აღარც სხუები აგლოვა, უბრძანა: იქ ტფილისში ჩამოიტანეთ იმის გვამიო, რომელთაცა მოასვენეს და დარიის ეკლესიაში დაასვენეს ავლაბარს...

...თუ მართლა ჩემი შვილი ლევან ხანჯლით გაგმირულია დედაკაცზე ქმრისაგან, ჭეშმარიტებას ვფიცავ, სახალხოთ ვათრევინებ“.

ცხედრის საგანგებოდ გასინჯვის შემდეგ გამოირკვა, რომ მას არავითარი ჭრილობა არ ჰქონდა, მხოლოდ იმის მეტი, რომ მთელი სხეული ძალიან დალურჯებული იყო და სიშავე დასცემდა: „მაშინ მეფე ირაკლიმ დაუჩოქა და როგორც რიგია, მოთქმით ტირილს მოჰყვა“.

ერთი სიტყვით, ბატონიშვილის დანით მოკვლა აშკარა ტყუილი აღმოჩნდა. მაშინ მტრებმა ახალი ჭორი გაავრცელეს, თითქოს ლევანმა ბევრი ორაგული ჭამა და ამნაირად მოიწამლა. „ამ დროს თავადმა ლუარსაბ ონანაშვილმა ვაჩნაძემ თავადი შერმაზან აფხაზი დააბეზღა მეფეს ირაკლისთან, რომ შერმაზან აფხაზმა ბატონიშვილი ლევან მოწამლაო“.

გამწარებული მეფის რისხვა ამ შერმაზან აფხაზს დაატყდა, მას ყმები და მამულები ჩამოართვეს, სიკვდილსაც უპირებდნენ, შერმაზანი შეევედრა მეფეს, „უბრალოებას სისხლს ნუ დაიდებ, სწორეთ გამოიკითხე და ისე მომკალიო. ამაზედ მეფე ირაკლი დამშვიდდა, მაშინვე საიდუმლოთ გამოკითხვაში შევიდა, ნახა, რომ ის დაბეზღება სულ სიცრუე იყო, თავისი ყმა და მამული ისევ დაუბრუნეს, ის აკლებულიც სულ ერთიან და შემდგომ პატივითაც მოეპყრა მეფე“.

ერთი სიტყვით, არც დანით მოკვლა გამართლდა და არც ორაგულებით მოწამვლისა, თუმცა კიდევ ერთი ვერსიით, მოწამვლა მაინც მომხდარა და აი, როგორ:

ლევანს ცოლად ჰყავდა ქაიხოსრო ანდრონიკაშვილის ქალი ელენე, გასაოცარი სილამაზისა, გიორგი ბატონიშვილის მეუღლე ქეთევან ანდრონიკაშვილის ახლო ნათესავი. ლევანს თავისი ცოლი ძალიან შეჰყვარებია, თუმცა იგი თავქარიანი იყო და „სუბუქი ჭკვისა“. ლევანი, როგორც ფიქრობს პროფ. სარგის კაკაბაძე, მოწამლეს ეჭვიანობის ნიადაგზე, როგორც ჩანს, შეცდომით, ცოლმა, რომელმაც მას დაალევინა მაშინ მიღებული სიყვარულის წამალი, რომელიც საწამლავი აღმოჩნდა“. საინტერესოა, ვინ ჩააგონა ქალს ასეთი „სიბრძნე“.

რა თქმა უნდა, ამის შესახებ რაიმე ისტორიული დოკუმენტი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ქვრივ ელენე (სხვა ცნობით, ნინო) ანდრონიკაშვილს უკვე ყველა ალმაცერად უყურებდა. სულ მალე იგი მეფის სასახლიდან გამოიყვანეს და ავლაბარში დაასახლეს. როდესაც გარდაიცვალა, მის დასაფლავებაზე არავინ მივიდა, თეკლა ბატონიშვილმა კი თავის შვილთან, ალექსანდრე ორბელიანთან საუბარში ძალიან ცივად მოიხსენია.

ლევან ბატონიშვილის სიკვდილი საქართველოსთვის მძიმე დარტყმა იყო. ეს, ქართველების გარდა, კარგად ესმოდათ მის მტრებსაც. ახალციხის ფაშა სულეიმან ფაშას (ჯაყელს) ეთქვა კიდეც: „მოხუცების ჟამსა მეფეს ირაკლისსა ერთი ფარდა აქვნდა საქართველოსთვის, რომელიც ოთხ კერძოვე იგურდივ იფარებდა და აწ დიდი შემწე მოშალა ირაკლი მეფესა“. ახლა მეფეს ლევანივით ვიღა დაეხმარებოდა. მორიგე ჯარიც, ასეთ ხელმძღვანელს მოკლებული, თანდათანობით მოიშალა და შესაბამისად ლეკიანობასაც ახალი ძალა მიეცა. ვიღამ არ გამოიტირა ლევანი, ქართველებს ხომ ისედაც მართებდათ, მაგრამ ორმა აზერბაიჯანელმა პოეტმა ვაგიფმა და ვიდადმაც მგრძნობიარე სტრიქონები მიუძღვნა.

ახლა კი რამდენიმე ნაწყვეტი ბესიკის მისი მეგობრის „სამძიმრიდან“ (სამგლოვიარო ოდიდან):

**შენდა ვსთქუ, ლომო,**
**მაღალ გვარითო ტომო,**
**მისებრვე მხტომო,**
**ბრძოლადმი განუძღომო**
**სად უსაზომო,**
**სად გზა შენდა საწთომო,**
**სადა მიდამო,**
**სად გეახლნეთ საგნომო**
**ლეონ სახსომო,**
**ყმათ გულებისა ხომო!**
**ჰოი, ცისა ლომო,**
**ლეო, ცისავე ხომო,**
**მაღალო ტომო,**
**მხოლოდ მოვედ მარტო, მო**
**სად მისადგომო,**
**სადა არს სრა სახსომო!**
**ვაი შენდა, ომო,**
**უმისოდ მოსანდომო**
**ვაი, მიუწთომო,**
**ხილვადღა მიუხდომო!**

დავასრულოთ გრიგოლ ორბელიანის დიდებული სტრიქონებით „სადღეგრძელოდან“:

**მეფისა დროშით სად მიხვალ,**
**ჰა, ლევან, სულით ნათელო!**
**შენ მხოლოდ მამის იმედო,**
**უდროდ მზე დაბნელებულო**
**შეირყა ტახტი მეფისა,**
**რა საფლავს შთახვედ, ლომგულო!**

**გივი გამრეკელი**

ახალი ჩანაწერებიდან

# ცოდნის გემო გამეორებაშია და მეც ვიმეორებ...

*ეს პატარა ესეი, რომელიც სპეციალურად ჩვენი გაზეთისთვის დაიწერა, ცნობილ მწერალს, ერისკაცობაში ბატონ მერაბ ელიოზიშვილს, ხოლო ამჟამად დიაკონ მამა ელიოზს ეკუთვნის.*

*ცრემლი და ტკივილი ახლავს ყოველ სტრიქონს, სევდა და დარდი, მშობლიური ცხინვალის მონატრება, ბავშვობის გაფრენილი დღეების ალერსი და სევდა. ცრემლით იკითხება და ყოველ წინადადებას რეფრენად გასდევს „ჩემი ცხინვალი, ჩემი მეგობრები, ჩემი ბავშვობა და ყრმობა“. იმეორებს, იმეორებს, რადგან ლოცვის გემო გამეორებაშია.*

*მამა ელიოზს ამ დღეებში 76 წელი უსრულდება.*

„პაპო ყაჩაღის“ ის ადგილი მიყვარდა, ავი ბატონის მკვლელი ზაქრო პირველად რომ შეხვდება ცნობილ ყაჩაღს, კაკოს. უამბობდა, თუ როგორ მოკლა ბატონი, რომელმაც მოხუცი მამა როზგის ქვეშ ჩაკლა, ილაჯგაწყვეტილი, საწყალი, ერთადერთი ვაჟის შინ დაბრუნებას რომ სთხოვდა და მეტს არაფერს... კაცი დავბერდი, ჩვენო პატრიარქო, და ცრემლებს ვერ ვმალავ იმის გამო, რომ დიდი პატრონის, ილია დიდის მკვლელობის — ოცდარვა მარიამობის ზარების წინა დღის რეკვა ჯერაც რომ ისმოდა. მაშინ მოგვიკლეს ერის მომავლის გზის ერთადერთაგანი მცოდნე, ჩვენთვის უძილო, ჩვენი მომავლის ღამეების უპირველესი თეთრად მთეველი, როგორ მოგვიკლეს და ვის ხელში ჩაგვყარეს. ამის წინსწრებით მნახველი რომ ვყოფილიყავი, კაკოს და ზაქროს მესამე ძმად უსიკვდილოდ ვეახლებოდი, მოვუყვებოდი, ჩემი ცხინვალის დედა როგორც მომიკლეს, როგორ დაგვტოვეს მარტოდმარტო, როგორ გამოგვრეკეს. კინაღამ შეგვწვეს ლიახვის გაღმა-გამოღმა სოფლებიანად. როგორ აგვაგეს რქებზე ქვევრ-მარნიანად, ნათელმირონზე აგვაღებინეს ხელი როკის გვირაბში შემოცვივნულმა წითელმა ხარებმა, ოსებთან ერთად, ჩვენს ოსებთან ერთად, ვაიმე ხალხნო! ფეხქვეშ მოგვისპეს ოცსაუკუნოვანი ენის ძირძველი ქართლი...

ათობით სოფელი! თუნდ ორიც იყოს! ორიათას წელზე გაგვიმრავლეთ, რამდენი გამოვა? ორიათასი წლის ნატკეპნი, ოფლით და სისხლით ნაღვარღვარევი. სოფელი ზურგზე აგვკიდეს სახედრების საპალნესავით... ცხელ-ცხელ ასფალტზე გვარბენინეს ფეხშიშველები.

„მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდიო“, — დიდმა მოძღვარმა რომ დაგვმწყემსა და გაგვამხნევა, სიტყვითა მჯერა, საქმით კი ვერა... რომ არა კვდება ამ ტიალ გულში ძველი წარსული ჩვენი ქვეყნისა?! როგორ მოვიკლათ? გულთან ერთად თუ ამოგვგლეჯენ, ჩვენც დავაკვდებით ჩვენი ბებერი ქვეყნის წარსულს და საბოლოოდ ასე იქნება — დღევანდლობიდან რასაცა ვხედავ, ვერც მომავალი დაგვემოწმება ბჟღვრიალ-ბჟღრიალით...

## ცხინვალი

რა არის ნეტავ ბოლოს და ბოლოს, ჩემი ცხინვალი, ეს ჩემი ცხინვალი, ორ დღეში ერთხელ რომ მესიზმრება და გავრბივარ რკინიგზის ბაქანზე შესამოწმებლად, ჩამოდგა თუ არა ძველი ვაგონებით მოკივლებული მატარებელი, ბავშვობის აქეთ რაც მენატრება...

რომელი — რა დედ-მამა მე იქა მყვანან, ან მეგობრები, ან — ბიძაშვილ-მამიდაშვილები, ან ჩემი თანასკოლელი ებრაელები. თუნდაც სომხები, მართალია, „ისე-რა“, მაგრამ, კარგად თუ გათოხნიდი და გამომარგლავდი, ვარგოდნენ ჩვენიანებად.

მერაბ, წავიდეთ, გავფრინდეთ რა!.. იქ უკეთესად ვიცხოვრებთ“, — ჩემი თანაკლასელის, ყაზრო ყაზარაშვილის სურვილით სავსე სათხოვარი ვერ შევასრულე.

იცოდნენ ჩვენმა ცხინვალელმა ებრაელებმა ელიოზ მცხეთელის, ებრაელთა მღვდელმთავრის შთამომავლებად რომ ვითვლებოდით, საიდან და როგორ, ვერ მოგახსენებთ. „ქართლის ცხოვრებაშიც“ შემხვედრია გაკვრა-გამოკვრით, მაგრამ გული, ჩვენი დღევანდელი ცხოვრებით არიტმიულად გარითმული, არაფერს მეუბნება ბეჭედდასმულს და ჭეშმარიტს, ისეთს, ჩემს თანაკლასელ ყაზროს რომ გავყოლოდი და ბედნიერ, მთლად ბედნიერ, უბედნიერეს ებრაელად მეცანცარებინა წვერიც და თმაც, ოდნავ შეჭაღარავებული, სავარცხელსაც რომ უჭირს კვალის გავლება. მაინც მიხარია ჩვენი მცხეთის დიდ სვეტიცხოვლობისას იმ ძველ სვეტთან შეჩერება და ამბორი, ჩვენი ძველი მამამთავარი ელიოზი რომ დაგვყურებს და გიმტკიცებს უძველეს ნათესაობას...

## ჩემი სიყვარულის უშრეტი ხე

რა გული გაგვიწყალე, შენი ცხინვალითო, შემომწყრება ზოგი მკითხველი. — ერთი ხელის დადებაა, რაღაცა თავის ჭრელ-ჭრელი მოსახლეობით... მაგისთანები გვინახავს — რო?!

მთელი იტალია ერთი ჩექმის ყელია, მაგრამ რომია! პატარა ქალაქებიც აქვს ამ ჩექმას. ზოგი იმდენად პატარაა, რომ ტელეფონიც არ გააჩნია მოსახლეობას, დადის კარდაკარ ქალაქის მერის მაცნე-ფოსტალიონი. მთელ მოსახლეობას სახელობით იცნობს: — ანტონიო! პეპე! ვინცენჩო!... — ვინ, მერიაშია დაბარებული, ზოგს წერილი მოსვლია, გაზეთი — ვინჩეცო, პეპე... ანტონიო, ჯუზეპე — უხმობს და აფრთხილებს ყველას. ფოსტალიონზე ნაკლები რითი ვიყავი ჩემს უწინაპრეს ცხინვალ-ქალაქში... მეც ბევრს ვიცნობდი სახელით, ხელის ჩამორთმევით, ოჯახის მოკითხვით. ჩემი სპექტაკლებით, კინოფილმების ჩვენებით.

ჩემი ქისიდან გაღებული ყველით, პურით და ჭიქა ღვინით — მიხეილ ჯავახიშვილმა იქ, ჩემს თამარაშენსა და აჩაბეთში, დაწერა „ჯაყოს ხიზნები“... ქართული სალიტერატურო ენის აკვანი იყო კეხვიდან ქვემოთ, ლიახვჩამოყოლებული ენამჭევრი ქართული სოფლებით. არა ერთი და ორი, ოცი, ორმოცი... ტყვიავამდე, გოგებაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი... სულის საცხონებელი, მაღალგუმბათიანი ეკლესიების მადლი ეფინებოდა მთელ მიწა-წყალს ქართული ზარების რისხვა თავზარსა სცემდა მტერს! ქართული სიტყვა — მარცვალ-მარცვალ ჩემი ლოცვანის ანბანია. თუ უგულოდ ვთქვი ჩემი გულისტკივილი, კვლავ გავიმეორებ სიწრფელისა და სიზუსტისათვის, სამღვდელო დიაკონი ვარ და კარგად ვიცი, რომ ლოცვის გემო განმეორებაშია! მწერალს თუ სიყვარული გამოელევა, ისევ ადამიანს უნდა მიმართოს სიყვარულისთვის. თორემ დაუშრება წვენი და გაუხმება ღვთის ნაბოძები სიყვარულის ხე...

## ბოლო სიტყვა

ნეტავი თუ გრძნობს მერცხალი, შორი ფრენისას სად დაეცემა: მტკვარზე, არაგვზე, ქსანზე, ლიახვზე, რიონზე, კოდორზე... რომც იცოდეს მაინც არ გვეტყვის...

შუაგაპობილ საქართველოს შესაწებებლად გამოსული მწერალი ნეტავი თუ გრძნობს, რომ საწებებელი დაშრობია და გამხმარ ფუნჯსაც ვეღარ დაილბობს ამერიდან-იმერამდე...

ჩემი ბავშვობის კისკისი მესმის საუკუნის იქით, ნახევრის უფრო იქიდან. და ეს თუ ატყუებს ბუდე კიდეზე გადმოზნექილ ბებერ ქედანს სიცოცხლის ბოლო დღეს დედამიწაზე დასახეთქებლად...

ვიდრე გახსოვარ, თქვი, რომ გიყვარდი ქვევრის თავიდან თითქმის ძირამდე, თეთრი ზღვისპირის იმ ნაპირიდან — შავი ზღვისპირის ამ ნაპირამდე... რამდენი დღე და რამდენი ღამე ვათენ-ვაღამეთ ორივემ ერთად, რამდენი მზე და რამდენი მთვარე ჩავიყვანეთ და ამოვიყვანეთ, ორი ვაგონი ერთში გავცვალეთ. თბილისი-ბაქო-თბილისი განუწყვეტელი სიყვარულის ერთი ვაგონით მთელი სიცოცხლე გამოვიარეთ. ბაქან და ბაქან, ბუქუნ და ბუქუნ... თათრული ჩაის განუწყვეტელი დუღილ-დუღილით. „პრიკუსკის“ ჩაის წუწნა-წუწნით. სულის შებერვით გაჩერებებზე... ხან ვაცივებდით, ხან — ვაცხელებდით აღელვებული გულის ფანცქალით, ცაცინათელობის ბოლო თვე იყო. ნათებასა და ნათებას შუა გამოვიკვლიეთ ერთმანეთი, „თეთრი ქარავნის“ ბაქოს ფინალით...

აფშერონის დედაქალაქი გვექცა მშობლიურად, „თეთრი ქარავნის“ გადამღებ ჯგუფს ვახლდი ავტორი და მწყემსი — ბალთას როლის შემსრულებელი...

**მერაბ ელიოზიშვილი,**
დიაკონი — მამა ელიოზი



*ეს კი „თეთრი ქარავნის“ გადამღები ჯგუფია:*

*მარცხნიდან: ჭიჭინაძე — „ჩიჩიკა“ „თეთრ ქარავანში“ დაღესტნელთაგანი; ტიტო კალატოზიშვილი, ცნობილი კალატოზოვის შვილი, მთავარი ოპერატორი, შემდგომში ქართველი კინორეჟისორი; ტიტოს მკლავსუკან ცუდად ჩანს გიორგი შენგელაია; რეჟისორის ასისტენტი: ტიტო კალატოზოვის მეუღლე ჯინა; „ზაგომერნოდ“ წოდებული ფილმის გადამღები ჯგუფის მეგობარი ძველი ბიჭი; არიადნა შენგელაია, მთავარი როლის შემსრულებელი და ელდარის მეუღლე; ნოდარ დუმბაძე, ჩემი ეთერის ნათლია; თამაზი — მეორე რეჟისორი; ერთ-ერთი კინომოყვარული; მერაბ ელიოზიშვილი, თქვენი მონა-მორჩილი, სცენარის ავტორი და ფილმში მწყემსი ბალთას როლის შემსრულებელი; ფილმის რედაქტორი და ცნობილი კრიტიკოსი აკაკი ბაქრაძე; ცნობილი მწერალი ედიშერ ყიფიანი; მთავარი როლის შემსრულებელი იმედო კახიანი; ფილმის მთავარი მხატვარი; უსაყვარლესი ქართველი, გვარ-სახელი დამავიწყა წლებმა; ფილმის მთავარი რეჟისორი და დამდგმელი ელდარ შენგელაია.*

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# არჩევნები საქართველოში – ახალი იმედები

**აუღელვებლად ვერ შევიდი 30 მაისს ბი-ბი-სის მსოფლიოს ახალი ამბების საიტზე, იმედი მქონდა მეხილა, თუ როგორ მიმდინარეობს არჩევნები საქართველოში. თბილისში მიმდინარეობდა მის ისტორიაში პირველი ქალაქის მერის პირდაპირი არჩევნები. ეს არის პრეზიდენტ სააკაშვილის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დემოკრატიული რეფორმა. გაიმართა აგრეთვე ჩვეულებრივი არჩევნები ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში**

ეს იყო 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ხალხის მხრიდან პირველი მხარდაჭერა კრიტიკის ობიექტად ქცეული სააკაშვილისა. მაგრამ რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო – ეს არის ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოს დემოკრატიული პრინციპებისადმი ნდობის შემოწმება, ქვეყნისა, რომელიც ისწრაფვის ააგოს დემოკრატია დასავლეთის შესაბამისად.

ვებ-გვერდზე ვერაფერი ვნახე – არავითარი ახალი ამბები, ყოველ შემთხვევაში, ბრიტანეთისთვის. ერთგვარად ეს კარგიც იყო, რომ არჩევნები თბილისში არ მოხვდა ახალ ამბებში: ეს იყო იმის ნიშანი, რომ ყველაფერი კარგად და აურზაურის გარეშე მიდის. და მაინც, გავიფიქრე, სირცხვილი იქნებოდა, არ გამეხსენებინა ეს: მიუხედავად იმისა, რომ ირჩევდნენ „მხოლოდ“ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, ამ არჩევნებს აქვთ დიდი მნიშვნელობა ევროპისა და მთელი მსოფლიოს განვითარებადი დემოკრატიული ქვეყნებისთვის.

სხვათა შორის, ძალიან ხშირად კარგი ამბავია, როდესაც არ არის „ახალი ამბები“. პრომოსკოვურმა „რუსიან ტუდეიმმაც“ ვერაფერი ხელმოსაკიდი, კრიტიკის თვალსაზრისით, ვერ მონახა თბილისის არჩევნებთან დაკავშირებით.

ორშაბათს ეუთოს სამეთვალყურეო მისიის მოხსენებაში იყო სიტყვები, რომ საქართველომ გამოავლინა „აშკარა პროგრესი“ მიმდინარე წლის არჩევნებზე. როგორც მისიის ხელმძღვანელმა ოდრი გლოვერმა განაცხადა, „ეს არჩევნები აღინიშნა აშკარა გაუმჯობესებით და ხელისუფლების სწრაფვით, ხელი მოკიდოს პრობლემებს მათი წარმოქმნისთანავე“. ევროსაბჭოს საპარლამენტო დელეგაციამ განაცხადა, რომ კენჭისყრა იყო „რეალური ნაბიჯი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე“.

საქართველოს ოპოზიციური პარტიები არ დავობდნენ არჩევნების სამართლიანობის შესახებ. დიახ, იყო რამდენიმე მეტად უმნიშვნელო „ნაკლოვანებაც“ და უსაგნო ბრალდებანიც ერთ ან ორ საარჩევნო უბანთან დაკავშირებით. მაგრამ რომელ არჩევნებზე არ ყოფილა ასეთი რამ?

მთავარია, რომ ევროპამ განაცხადა: არჩევნები საქართველოში იყო „თავისუფალი და პატიოსანი“ და რომ „აღინიშნება პროგრესი“.

მნიშვნელოვანი მომენტი გახდა ის, რომ სააკაშვილი ხელისუფლებაში „ვარ-



დების რევოლუციის“ შედეგად მოსვლის შემდეგ 2003 წელს, აშკარად უგდებდა ყურს კრიტიკას წინა არჩევნებზე და იქიდან გამოიტანა სათანადო დასკვნები.

უკანასკნელი წლის განმავლობაში თბილისში განვითარდა სერიოზული დემოკრატიული რეფორმების პროცესი: მოეწყო საარჩევნო სისტემის რეფორმები და საარჩევნო კოდექსის მოდერნიზაცია, გაიზარდა ოპოზიციური პარტიების სახელმწიფო დაფინანსება, დაინიშნა სპეციალური უწყებათაშორისი კომისია თავისუფალი და პატიოსანი არჩევნების უზრუნველსაყოფად, ხელისუფლებამ უზრუნველყო მეთვალყურეთა დიდი რიცხვის მოზიდვა არჩევნებისთვის თვალყურის სადევნებლად, პირველად ქვეყნის ისტორიაში მოეწყო წინასაარჩევნო დებატები ტელევიზიით (როგორც ეს ახლახან გააკეთა დიდმა ბრიტანეთმაძ სპეციალური საპარლამენტო არხის დაწესებით.

ყველა ამ რეფორმის განხორციელებისთვის მთავრობამ მოიზიდა ოპოზიციური პარტიები და არასახელმწიფო ორგანიზაციები, როგორც კონსულტანტები.

ზოგიერთები ცდილობენ განაცხადონ, რომ „ფერადი რევოლუციები“ ყოფილ საბჭოთა კავშირში მკვდარია, მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ უკრაინაში „ნარინჯისფერი რევოლუციიდან“ ხუთი წლის შემდეგ მისი გმირი ვიქტორ იუშჩენკო პრეზიდენტის პოსტზე შეცვალა პრომოსკოვურმა ლიდერმა ვიქტორ იანუკოვიჩმა.

30 მაისს გამართული არჩევნების შედეგად სააკაშვილის მმართველმა პარტიამ მოიპოვა დამაჯერებელი გამარჯვება: მისმა კანდიდატმა თბილისის მერის პოსტზე გიგი უგულავამ ხმების 55 პროცენტი მიიღო. ოპოზიციის წამყვანმა კანდიდატმა ირაკლი ალასანიამ კი ხმების 20 პროცენტი.

სააკაშვილს, კონსტიტუციის პირობებით, არ შეუძლია პრეტენზია ჰქონდეს მესამე ვადით არჩევაზე. ამიტომ ის არ მიიღებს მონაწილეობას პრეზიდენტის შემდგომ არჩევნებში, რომელიც 2013 წელს გაიმართება. მაგრამ ნაციონალური მოძრაობის პარტია, რომელიც სათავეში ედგა „ვარდების რევოლუციას“, შვიდი წლის შემდეგ კვლავ რჩება საქართველოში ყველაზე პოპულარულად, მიუხედავად გარკვეული შინაპარტიული კრიტიკისა 2008 წლის ომთან დაკავშირებით.

მართალია „ვარდების რევოლუცია“, ცხადია, ცოცხლობს და იმარჯვებს, მაგრამ დღეს თბილისში ტრიუმფების აღნიშვნის დრო არ არის. შეშფოთებისთვის ერთი მიზეზი არის ის, რომ ქვეყანაში არ არის ძლიერი და გაერთიანებული ოპოზიცია. სააკაშვილმა ბევრი რამ გააკეთა თანაბარი პირობების მოედნის შექმნისთვის, მაგრამ რაც მან ვერ შეძლო – ეს არის აემაღლებინა გათიშული ოპოზიციის პოპულარობა. ეს თავად ოპოზიციური ლიდერების, იგივე ალასანიას საქმეა, რომელიც, დასავლეთის თვალსაზრისით, არის ნდობის ყველაზე ღირსეული კანდიდატი. მან უნდა გააგრძელოს საუბრები პოლიტიკაზე ისე, რომ არ გადავიდეს პიროვნულზე. საარჩევნო კამპანიის დროს მერის პოსტისთვის, მან წამოაყენა რამდენიმე მოწონებით შეხვედრილი წინადადება ჯანმრთელობის დაცვის რეფორმების შესახებ, მან დიდსულოვნება გამოიჩინა დამარცხების დროს და განაცხადა, რომ არჩევნები იყო „ნამდვილი“: „თბილისმა თავისი არჩევანი გააკეთა“.

საქართველოში ყოველთვის ძლიერი იყო პოლიტიკური ცვლილებებისთვის ქუჩაში გამოსვლის ტრადიციები და წინა რეპრესიული რეჟიმების დროსაც ასეთი ტაქტიკა შედეგს აღწევდა. მაგრამ ამჯერად ოპოზიციამ ყურადღება უნდა გაამახვილოს პარლამენტის და არა ქუჩის ბრძოლაზე. ზოგიერთი ოპოზიციური ლიდერი, რომლებმაც უარი თქვეს პარლამენტში თავიანთ ადგილებზე, იწყებს ამის გაცნობიერებას. და ეს შესანიშნავია.

პარლამენტი – ყველაზე ადეკვატური და ეფექტიანი ფორუმია, რომლის სპეციალური დანიშნულებაც მომწიფებული დემოკრატიის დროს გარდაქმნათა განხორციელებაა. დიდი ბრიტანეთის ახალ პრემიერ-მინისტრს დევიდ კემერონს და ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტს ჯო ბაიდენს 2008 წლის აგვისტოში არ შეშინებიათ ჩაფრენილიყვნენ საქართველოში, რათა ქართველ ხალხთან მხარდამხარ შეხვედროდნენ რუსეთის თავდასხმას ამ პატარა ხალხზე ჰაერიდან, ზღვიდან და ხმელეთზე. ამჟამად მოსკოვს მიაჩნია, რომ დაიბრუნა უკრაინა, და თანდათან იბრუნებს გავლენასა და კონტროლს საბჭოთა კავშირის ყოფილი შუა აზიის ენერგიის წყაროებით მდიდარ რესპუბლიკებზე. რუსეთს სურს, რომ შეწყვიტოს საქმიანობა ეუთომ, როგორც დემოკრატიის, ადამიანთა უფლებებისა და არჩევნებისადმი ზედამხედველობის ფორუმმა. საქართველოს ურყევი სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ, მისი წარმატებები ევროპული დემოკრატიული ნორმების ათვისების გზაზე რუსეთისთვის რჩება დაბრკოლებად, ქვეყნისთვის, რომელიც კვლავ იბრუნებს თავისი ბატონის მდგომარეობას ყოფილი საბჭოთა და მეფის იმპერიების ხალხებზე.

ეს არჩევნები იყო ლონდონის, ვაშინგტონისა და ბრიუსელისთვის შეხსენება იმის შესახებ, რომ მათ არ უნდა დაივიწყონ საქართველო, თუმცა განტვირთვის ყველა ღილაკზე თითი დაჭერილია იმის იმედით, რომ კრემლი თავის საგარეო პოლიტიკაში შეასუსტებს ტენდენციას, დაიწყებს თამაშს ნული ანგარიშიდან.

openDemocracy
free thinking for the world

# უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობებმა სასაქონლო სახე მიიღო

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ჩავიდა კიევში, სადაც გამართა მოლაპარაკება თავის უკრაინელ კოლეგა კონსტანტინ გრიშჩენკოსთან. გრიგოლ ვაშაძე გახდა საქართველოს პირველი ოფიციალური წარმომადგენელი, რომელიც ჩავიდა უკრაინაში ამ ქვეყანაში ქვეყნის ხელისუფლების შეცვლის შემდეგ. მისმა ვიზიტმა აჩვენა, რომ თბილისთან უკრაინის ურთიერთობათა აგება ორიენტირებულია არა იმდენად მოსკოვზე, რამდენადაც საკუთარ პრაგმატულ შეხედულებაზე – განავითაროს საქართველოსთან, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური ურთიერთმოქმედებანი**

კიევში გრიგოლ ვაშაძე აშკარად წარმოაჩენდა, რომ თბილისს უკრაინა-რუსეთის დაახლოება არ აშინებს. „უკრაინის დაახლოება ნებისმიერ მესამე სახელმწიფოსთან არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს უკრაინა-საქართველოს ურთიერთობისთვის, – განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა. – ჩემთვის მხოლოდ ეს მონაცემებია, ინფორმაციაა განსჯისთვის, მეტი არაფერი.

მიუხედავად ამისა, სტუმარი ცდილობდა აქცენტი გაეკეთებინა საკითხებზე, სადაც კიევისა და მოსკოვის პოზიციები ერთმანეთს არ ემთხვევა. მან მადლობა გადაუხადა უკრაინის პრეზიდენტსა და საგარეო საქმეთა მინისტრს „განცხადებებისთვის, რომლებიც გაკეთდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით“. სტუმარს აშკარად მხედველობაში ჰქონდა ვიქტორ იანუკოვიჩის განცხადება პრესკონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა მისი პრეზიდენტობის ას დღეს, იმის შესახებ, რომ იგი არ აღიარებს აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და კოსოვოს დამოუკიდებლობას. „საერთაშორისო კანონების თანახმად, სახელმწიფოს მთლიანობის ნებისმიერი დარღვევა აკრძალულია. ჩვენ არ გვაქვს უფლება, მივესალმოთ ამ პროცესებს და მით უმეტეს, ვაღიაროთ ისინი“, – განმარტა პრეზიდენტმა. ბატონ ვაშაძის სიტყვებით, ეს ადასტურებს „მასტაბილიზებელ როლს, რომელსაც ასრულებს უკრაინა რეგიონში, და იმას, რომ იგი დგას საერთაშორისო სამართლის სადარაჯოზე“.

მოლაპარაკების დროს თავის უკრაინელ კოლეგასთან სტუმარი ზონდირებას უკეთებდა ორი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრის შესაძლებლობას. „ჩვენ ძალიან გვინდოდა მოგვეწყო ვიქტორ იანუკოვიჩის ვიზიტი საქართველოში მიმდინარე წელს, მაგრამ შეთანხმება ჯერჯერობით არ არის“, – აღიარა წყარომ საქართველოს დელეგაციაში.

კონსტანტინ გრიშჩენკო უფრო მეტ აქცენტს საქართველოსთან ეკონომიკურ ურთიერთობებზე აკეთებდა. მან აღნიშნა, რომ უკრაინა ელოდება სუამისგან უწინარეს ყოვლისა ეკონომიკურ თანამშრომლობას. „ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ პოლიტიკური კომპონენტი უნდა იყოს უპირატესი... უკრაინისთვის სუამი, უწინარეს ყოვლისა, საინტერესოა ტრანსპორტისა და ტურიზმის თვალსაზრისით“, – განმარტა უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა.

მაგრამ კიევის ასეთი მიდგომაც კი საქართველოსთან თანამშრომლობისადმი თბილისში წარმატებად მიაჩნიათ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ „რუსეთის ყველა მცდელობა დაარწმუნოს უკრაინის ახალი ხელისუფლება, შემოიღოს აკრძალვა ქართული საქონლის – ღვინის, ბორჯომის, ციტრუსების იმპორტზე, რისი შეტანაც რუსეთში აკრძალულია, – მარცხით დამთავრდა“. ჩვენი წყაროებით, კიევი იყენებს სავსებით პრაგმატულ მოსაზრებას – საქართველოზე გადის აზერბაიჯანიდან უკრაინისკენ მიმავალი ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების მარშრუტი. საინტერესოა, რომ სწორედ გრიგოლ ვაშაძის კიევში ვიზიტის დღეს ბათუმის ნავსადგურში პირველად შევიდა უკრაინის ბორანი „გრეიფსვალდი“, რომელმაც, აჭარის ხელმძღვანელის ლევან ვარშალომიძის სიტყვებით, „ჩამოიტანა კომპანიების 2,5 ათასი ტონა ტვირთი, და ახლა შეასრულებს ყოველკვირეულ რეისებს, რითაც ხელს შეუწყობს საქონელბრუნვის გადიდებას ორ ქვეყანას შორის“.

სხვათა შორის, მომავალში თბილისი არ გამორიცხავს კიევთან აქტიური პოლიტიკური ურთიერთობისკენ დაბრუნებასაც. ყოველ შემთხვევაში, როდესაც სუამის ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ საუბრობდა, გრიგოლ ვაშაძემ გადაკვრით აღნიშნა, რომ ეს ორგანიზაცია ახალგაზრდაა და ჯერ კიდევ უნდა განსაზღვროს თავისი პრიორიტეტები. მისი სიტყვებით, უახლოეს პერიოდში მოხდება ამ გაერთიანების წევრ სახელმწიფოთა ხელმღვანელების შეხვედრა, სადაც გაირკვევა თანამშრომლობის პრიორიტეტული სფეროები.

Коммерсантъ

**გიორგი დვალი,**
**სერგეი სიდერენკო,**
**გენადი სისოევი**

## დედამიწის ზურგზე



**ყირგიზეთის სამხრეთში „ყოფითმა“ უწესრიგობებმა ჯავშანტექნიკის გამოყვანა გამოიწვია: 17 კაცი დაიღუპა, 200-ზე მეტი დაიჭრა**

დაზარალებულები უმეტესად ცეცხლსასროლი იარაღით არიან დაჭრილები. რესპუბლიკის ჯანმრთელობის სამინისტროში არ გამორიცხავენ, რომ დაზარალებულთა ოდენობა შეიძლება გაიზარდოს. ორშში ძველებურად დაძაბული ვითარებაა, ისმის სროლების ხმა და ყვირილი. ორშის კომენდანტმა განაცხადა ქალაქში სტაბილიზაციის ვითარების შესახებ – იქ შეიყვანეს ჯარები და ჯავშანტექნიკა.

* * *




**ინდოეთის ოკეანეში იპოვეს 16 წლის ამერიკელი გოგონა, რომელიც მსოფლიოს გარშემო ცურვის დროს დაიკარგა**

ამერიკელმა მაშველებმა შეძლეს კავშირი დაემყარებინათ ები სანდერლენდთან, რომელიც მარტო ახორციელებს მსოფლიოს გარშემო მოგზაურობას იახტაზე, და დაადგინეს მისი ადგილმდებარეობა. როგორც გაირკვა, ნორჩი მოგზაური საღადაა , მაგრამ მისი იახტა დაზიანებულია. მაშველები ებისთან ერთ დღე-ღამეში მივლენ.

* * *

**ნელსონ მანდელას შვილთაშვილი დაიღუპა, როდესაც ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის გახსნიდან ბრუნდებოდა**



მანქანა, რომელშიც იმყოფებოდნენ 13 წლის შვილთაშვილი, აგრეთვე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ექსპრეზიდენტის ყოფილი ცოლი, გადაბრუნდა ტრასაზე. ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. მძღოლი, რომელსაც მიჰყავდა ავტომობილი, დაპატიმრებულია, პოლიციამ კი დაიწყო ამ საგზაოსატრანსპორტო შემთხვევის გამოძიება.

* * *

**რუსეთმა მოუწოდა ისრაელს, შეუერთდეს ხელშეკრულებას ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ**

მოსკოვი ასევე მოუწოდებს იერუსალიმს, ყველა მისი ბირთვული ობიექტი დააყენოს მაგატეს გარანტიის ქვეშ. ეს, რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელთა აზრით, ხელს შეუწყობდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმის განმტკიცებას და ახლო აღმოსავლეთში ბირთვული იარაღისგან თავისუფალი ზონის შექმნას.

ხედვა შორიდან

# მოდერნიზმი საქართველოში: საზღვრების ხელახალი მონიშვნა

***ერთ მშვენიერ დღეს ნიუ-იორკში კოლუმბიის უნივერსიტეტში უჩვეულო გამოფენა, საინტერესო კონფერენცია და ქართული ფილმების „სვანეთის მარილი“, „ჩემი ბებია“, „საბა“, „ლურსმანი ჩექმაში“ ჩვენება გაიმართა. თავისი მოდუსით ეს ერთგვარი „ქართული დღე“ შარშან ივნისში ნიუ-იორკში Casey Kaplan-ის გალერეაში ქართველი ავანგარდისტი მხატვრების ნამუშევრების ექსპოზიციის „ფანტასტიკური დუქანი: თბილისის ავანგარდი“ გაგრძელება გახლდათ. კონფერენციის ორგანიზატორი, ხელოვნებისმცოდნე მზია ჩიხრაძე ამბობს, რომ კონფერენციის მოწყობის ერთ-ერთი მოტივი ისიც გახლდათ, რომ ჯერ კიდევ არსებობს ძველი სტერეოტიპი თითქოსდა ქართული მოდერნიზმი და თბილისური ავანგარდი რუსული მოდერნიზმის ნაწილი იყოს და ამიტომაც იგი რუსულის კონტექსტში უნდა განიხილებოდეს. პრობლემას ისიც წარმოადგენს, რომ საქართველოს საზღვრებს გარეთ არ არსებობს სრულფასოვანი ინფორმაცია ამგვარი მითის გასაქარწყლებლად და ამის ერთ-ერთი დასტური ისიცაა, რომ ნიუ-იორკში ხელოვნების თანამედროვე მუზეუმის (MOMA) გრაფიკის განყოფილებაში, სადაც თბილისში 1910-20-იან წლებში დასტამბული წიგნებია გამოფენილი, მუზეუმი ქართველი სპეციალისტების არაერთი თხოვნისა და ერთად მუშაობის შეთავაზებისა, ჯერაც გაურკვევლად ტოვებს ამ წიგნებისა და ქართველი ავტორების წარმომავლობას. მაგალითად, 1918 წელს თბილისში ილია ზდანევიჩმა მინიატიურების თეატრის მსახიობს სოფია მელინკოვას, რომელიც დადაისტების, ფუტურისტების, ავანგარდისტების მიერ მოწყობილ საღამოებზე ხშირად გამოდიოდა და მათ ლექსებს კითხულობდა, ქართულ-რუსულ-სომხურენოვანი ალბომი მიუძღვნა. ეს წიგნი MOMA-ს ერთ-ერთ საგამოფენო დარბაზში დევს, მაგრამ რატომღაც ინგლისურად არაა მითითებული, რომ იგი საქართველოშია გამოშვებული. წიგნი ილია ზდანევიჩის ქართული გამომცემლობა „41 გრადუსის“ მიერ დაისტამბა, მაგრამ კონკრეტულად არც ამ გამომცემლობის შესახებაა რაიმე მითითებული. გამომცემლობას რომ თავი დავანებოთ, „აღმოჩნდა“, რომ თბილისში გაზრდილი კირილე ზდანევიჩი რუსი მხატვარია, არადა დედამისი ქართველი იყო, მამა კი პოლონელი; ილია ზდანევიჩი კი რუსეთში დაბადებულ ფრანგ ხელოვნად „გარდაიქმნა“.***

შარშან Casey Kaplan-ის გალერეაში გამართული ქართული გამოფენის თანაკურატორი ხელოვნებისმცოდნე, შვეიცარელი კურატორი დანიელ ბაუმანი გახლდათ. ქართველმა ხელოვნებათმცოდნეებმა და ინტერდისციპლინარული კვლევის ლაბორატორიის თანამშრომლებმა თბილისში, ძირითადად გრიშაშვილის სახლ-მუზეუმში დიგიტალური კამერით ქართველ მოდერნისტ ხელოვანთა ლექსები და მხატვრობა გადაიღეს და ბაუმანს შვეიცარიაში გაუგზავნეს, სადაც მან ეს ფოტოები სტენდებად აქცია. სწორედ ეს თვალსაჩინოება იყო გამოფენილი კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტის ერთ-ერთი სართულის კედლებზე: ნოზაძე, შენგელაია, ჩაჩავა, ჩიქოვანი, ჟლენტი, აბულაძე, გორდეზიანი, ბალიაშვილი, ტაბიძე... ლექსები ამერიკული უნივერსიტეტის კედლებზე ზუსტად იმდროინდელი გამოცემების გადიდებულ, ოდნავ გაცრეცილ, ფერმკრთალ ყვითელ ასლებად გადაიქცნენ, როცა ტიციანიც, ზდანევიჩიც, ბაჟბეუქ-მელიქოვი და სუდეიკინიც ცოცხლები იყვნენ. იმ დღეს კოლუმბიაში ქართული „ქიმერიონის“ დღე იყო.

კონფერენციის დასრულების შემდეგ კი ექსპოზიცია კოლუმბიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გადაეცა, მათ შორის, წიგნებიც „ქართული მოდერნიზმი“, „პეტრე ოცხელი“, „რუსთაველის თეატრის მხატვრობა“ და „მარჯანიშვილის თეატრის მხატვრობა“.

* * *




კონფერენციის „მოდერნიზმი საქართველოში: საზღვრების ხელახალი მონიშვნა“ ორგანიზატორი გახლდათ ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **მზია ჩიხრაძე**, რომელიც „ფულბრაიტის“ სამეცნიერო პროგრამით კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტში ასოცირებული მკვლევარია. კონფერენციაზე ქართველი და ამერიკელი მკვლევარები და მეცნიერები აკადემიურად და დეტალურად საუბრობდნენ საქართველოს ავანგარდული ხელოვნების ევროპულ კულტურასთან კავშირზე, თბილისის ავანგარდული ჯგუფებისთვის დამახასიათებელ არტისტულ ენაზე, მოდერნიზმის დრამატიზმზე ბოლშევიკებისა და სსრკ-ის დროინდელ საქართველოში. თეატრში, კინოში, პოეზიაში, არქიტექტურაში ქართულ მოდერნისტულ ენაზე, საბჭოთა იდეოლოგიის, ხელოვნებისა და კულტურული პრაქტიკების ურთიერთკავშირზე, თბილისზე, როგორც 1910-იანების ბოლოსა და 20-იანების დასაწყისის კავკასიის კულტურული ცენტრზე, როდესაც ქალაქი ევროპისა და რუსული ავანგარდული მოძრაობების ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლის როლს ასრულებდა.

**მზია ჩიხრაძე**, ჩუბინიშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. — 1917-1919 წლებში გამოცემული ფუტურისტული წიგნები თბილისის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხატვრული მოვლენა გახდა. ამ პერიოდში შექმნილი ფუტურისტული ბროშურები ხელოვნების ნიმუშებია, რომლებიც მხატვართა და პოეტთა ინტერკულტურული, ინტერნაციონალური თანამშრომლობის მაგალითს წარმოადგენს. ამ დროს თბილისში ფართოდ გაიღო კარი ახალი მხატვრული მიმდინარეობებისთვის. ავანგარდისტთა ერთი ჯგუფი ფუტურისტული იდეებით გამოდიოდა, მათ სათავეში ძმები ილია და კირილე ზდანევიჩები ედგნენ. მარტო იმ ფაქტის აღნიშვნაც კმარა, რომ ილია ზდანევიჩმა რუს ავანგარდისტ მხატვართან მიხეილ ლე-დანტიუსთან ერთად პირველმა აღმოაჩინა ქართველი თვითნასწავლი მხატვრის ნიკო ფიროსმანის შემოქმედება და უდიდესი წვლილი გასწია მისი ნამუშევრების შეგროვებისა და გადარჩენის საქმეში. ის აქტიურად იყო ჩართული ქართული ხელოვნების ყველა იმდროინდელ მოვლენაში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ინტერკულტურულობა და ხელოვნებათა შორის საზღვრების წაშლისადმი სწრაფვა ზოგადად დამახასიათებელი იყო მაშინდელი ავანგარდისტებისთვის, თუმცაღა ამ გზისკენ მიმავალნი ყოველთვის ხელოვნების „წმინდა ეთნიკურ და ზოომორფულ ფესვებს ეძიებდნენ“, რომელზეც სურდათ დაეფუძნებინათ საკუთარი „ტრანსნაციონალური“ ხელოვნება. ილია ზდანევიჩის შემოქმედება მარინეტის ფუტურიზმითაც იკვებებოდა. იტალიური ფუტურისტული ენის ექსპერიმენტები, რაც „პაროლე ლიბერას“, ანუ „თავისუფალი სიტყვების“ სახელით არის ცნობილი, ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენი იყო ზდანევიჩის პოეტური შემოქმედებისათვის, სადაც სიტყვათა „მიმიკურ აზრობრიობას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მათი აზრობრივი მნიშვნელობის გადმოცემას.“ ის თავის შემოქმედებაში ცდილობდა პოეტური ენის აღორძინებას და როგორც თავად წერდა, მას სურდა პოეზია მიეყვანა „ზაუმამდე“ (არააზრობრივობაძ და „აბსტრაქტამდე“. მარინეტის წიგნი „ფუტურისტული სიტყვები თავისუფლებაში“ (1919წ.ძ პოეტური და ლიტერატურული ენის განახლების სფეროში ავტორის თხუთმეტწლიანი კვლევის შედეგია. წიგნში მოცემულია რამოდენიმე დაკეცილ გვერდზე გაშლილი ტიპოგრაფიული კომპოზიციები, სადაც გამოყენებულია სხვადასხვა სტილისა და ზომის ნაბეჭდი და ასევე ხელით შესრულებული ბეჭდური და კალიგრაფიული ნაწერები, სხვადსხვა მხარეს მიმართული თუ ამოტრიალებული ასოები და ა.შ. ხშირ შემთხვევაში მსგავს ასოციაციას იწვევს ილიაზდის (ილია ზდანევიჩის ფსევდონიმიძ ფუტურისტული კომპოზიციებიც, მაგალითად გამოდგება მისი „ასიოლ ნა პრაკატ“ (გასაქირავებელი ვირიძ „მელნიკოვას ალბომიდან“, სადაც მიუხედავად მკაფიო განსხვავებებისა, აშკარაა კავშირი მარინეტის შემოქმედებასთან.

ქართული გამომცემლობა „41 გრადუსი“-ს საქმიანობა უმნიშვნელოვანესი ფურცელია თბილისის კულტურულ ცხოვრებაში. ორგანიზაციამ კრუჩონიხის, ტერენტიევის, ზდანევიჩების და ვალიშევსკის თაოსნობით და მონაწილეობით სხვადასხვა გამომცემლობაში მრავალი საინტერესო წიგნი დაბეჭდა. ეს იყო ახალი ტიპის, ბროშურების სახით გამოსული წიგნები — ლითოგრავირებული, სადაც ტექსტები იწერებოდა ხელით ავტორების ან მხატვრების მიერ. აქ ილუსტრაციის თხრობითობა გადასულია უკანა პლანზე და მთავარია მისი პლასტიკურ-გამომსახველობითი გადაწყვეტა. იმის გამო, რომ ფუტურისტული ლექსის „ზაუმური“ ენა აგებული იყო სიტყვათა თამაშზე და ხშირად სიტყვებს აზრი არ ჰქონდათ, დგებოდა იმპროვიზაციის მომენტი. ფაქტიურად ეს იყო ექსპერიმენტი ახალი ხელოვნების შექმნისათვის, რისთვისაც ისინი მიმართავდნენ სიტყვებითა და მხატვრული ფორმებით თამაშს. ფუტურისტ მხატვრებს და პოეტებს მიაჩნდათ, რომ ხელწერა გადმოსცემს განწყობილებას და რომ სტამბურად აწყობილ ერთფეროვან სტრიქონებში იკარგება ხასიათი. ამიტომ ამ მოსაწყენი სწორხაზოვანებიდან ისინი გამოვიდნენ სხვადასხვა შრიფტის და ხელნაწერის გამოყენებით, სადაც ნახატი და ასოები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს ერწყმის და ერთიან მხატვრულ-პლასტიკურ სახეს ქმნის. ზოგჯერ ქაღალდის ნაცვლად შპალერსაც კი იყენებენ. გარეგნულად ეს წიგნები ხაზგასმული კუსტარულობით ხასიათდება, ბროშურების გარეკანი მუყაოსია, ნახატები ხელითაა შესრულებული, ყოველივე ეს გამოირჩევა, როგორც ფუტურისტებს სჩვეოდათ, სკანდალური უბრალოებით, მაგრამ ამ უბრალოებაში არის ერთგვარი სიმსუბუქეცა და მხატვრულ-ესთეტიკური მთლიანობაც. თბილისური ფუტურისტული წიგნის ფენომენს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსული ფუტურისტული წიგნის შემდგომი განვითარებისთვისაც, რომელიც უფრო გამრავალფეროვნდა ადგილობრივი მხატვრული ძალების აღნიშნულ პროცესში ჩართვით. ფუტურისტულმა წიგნმა უფრო მულტიკულტურული და მულტიეროვნული სახე მიიღო, რაც პრინციპში ფუტურისტული ფილოსოფიური იდეოლოგიის კოსმოპოლიტურ ხასიათს კარგად შეესაბამებოდა.



**ფრანსუაზ ლე გრი**, კვებეკის უნივერსიტეტის (კანადა) ხელოვნების ისტორიის პროფესორი — ავანგარდული პოეზიის განვითარებაში ილია ზდანევიჩის (ფსევდონიმი „ილიაზდ“) ღვაწლი ძალიან დიდია. ბოლო 30 წლის განმავლობაში სხვადასხვა სფეროს მკვლევარები ილიაზდის შემოქმედებას დეტალურად სწავლობდნენ. ზდანევიჩის ინტერესი ხელოვნების, პოეზიის, არქიტექტურის, ისტორიისა და მოგზაურობის მიმართ ეყრდნობოდა მის ქართულ კულტურასა და ავანგარდისტულ აქტივობებს 1910-ანი წლების ტფილისში. მისი ხედვა, რომელიც ზდანევიჩის „ტაუტიზმით“ იყო განპირობებული, სამუდამოდ გადაჯაჭვული იყო ილიაზდის პარიზულ ცხოვრებასთან. მოდერნიზმის კომპლექსურობისა და იმ ომისშემდგომდროინდელი (პოსტომის ნაცვლად, მგონი, ასე ჯობია) პარიზის პერიპეტიების ფონზე, რომელშიც მთელი ევროპის შემოქმედნი ჩამოდიოდნენ, ილიაზდი ცდილობდა მისი მანათობელი ვარსკვლავისა და საყრდენის — „41 გრადუსის“ მიზნების განხორციელებას. ილიაზდს აინტერესებდა ის საზღვრები და ლიმიტები, რომლის ფარგლებშიც არტისტს თუ პოეტს ჩარევა შეეძლო. ხელოვანსა და ხელოვნებას შორის არსებული ხიდებით ილიაზდი გახლდათ ერთგვარი „ექსტრემალური მოდელი“, სადაც თანაარსებობდა ისეთი მრავალფეროვნება, როგორიცაა: ვერბალური ექსპერიმენტები, დიდი მოგზაურის გზები, შუასაუკუნეების ეკლესიის ჩანაფიქრები, წიგნის დიზაინი, ბალეტი, როგორც პოეზიის გაგრძელება, ნაივური არტი, კერამიკა, ფუტურისტული მანიფესტები და სამთო ალპინიზმი. მსოფლიოს ამ პატარა რესპუბლიკაში, რომელმაც 5 წელიც კი ვერ იარსება, ამგვარი კულტურა ქართული სეკულარიზმისა და მოდერნიზმის გამოისობით გახდა შესაძლებელი, სწორედ ეს თემა უნდა იყოს ჩვენი კვლევისა და ყურადღების საგანი.

**ნესტან თათარაშვილი**, არქიტექტორი, „არტ-ნუვოს“ ჯგუფის პრეზერვაციის ხელმძღვანელი (მისი ტექსტი მერი კეი ჯადმა წაიკითხა) — ახალი არქიტექტურული სტილი „არტ-ნუვო“ XIX საუკუნეში შეიქმნა. ინფორმაცია ამ სახის არქიტექტურის შესახებ საქართველოში რუსეთიდან და ევროპიდან უმოკლესი გზით — შავი ზღვის საშუალებით შემოვიდა. „არტ-ნუვოს“ სტილი საქართველოში სხვადასხვა პუბლიკაციების — პროფესიული, პოპულარული, მოდის ჟურნალებით, ფოტოებითა და იმ ადამიანების საშუალებით გავრცელდა, რომლებიც ქვეყანაში სამუშაოდ ან სასწავლებლად ჩამოვდნენ. საქართველოში „არტ-ნუვოს“ შენობები დედაქალაქში, სოხუმში, ბათუმში, ფოთში, ქუთაისში, გაგრაში, ახალ ათონში, ქობულეთსა და დუშეთში აშენდა. არქიტეტურის ეს სტილი გამოყენებული იყო კოლეჯების, მაღაზიების, კინოთეატრების, სახელოსნოების, სასადილოებისა და ქარხნების მშენებლობისას. განსაკუთრებით აღსანიშნავია კინოთეატრების არქიტექტურული სტილი. გვიანი კაპიტალიზმისა და ეკონომიკის სისუსტის გამო ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით საქართველოში ხელოსნების შრომა დიდი ხნის განმავლობაში გამოიყენებოდა. ხელოსნები თავისი ოსტატობისდა მიხედვით ხელოსანთა სხვადასხვა გაერთიანებებს უერთდებოდნენ და მათ სახელად „ამქარი“ ეწოდებოდათ. სამშენებლო ინდუსტრიის განვითარების გამო კვალიფიციურ მუშებზე მოთხოვნილება საქართველოში საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, XX საუკუნის პირველი დეკადის ჩათვლით არსებობდა. უილიამ მორისი, რომელიც XIX საუკუნის შუახნის მოდერნ ინდუსტრალიზაციით შეშფოთებული იყო, ოცნებობდა ისეთ სიტუაციაზე, რომელიც იმ დროს სწორედ საქართველოში არსებობდა.

„არტ-ნუვოს“ არქიტექტურის სიმდიდრე საქართველოში მისი ისეთივე წარმატებულობის მაჩვენებელია, როგორიც ეს მაშინ ვეროპულ ქვეყნებში იყო. ეს ბუნებრივი პროცესი ქვეყანაში 1921 წელს კომუნისტების შეჭრის გამო შეჩერდა და არქიტექტურაც ტოტალიტარული სისტემის მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა.

**ია მერკვილაძე,**
ნიუ-იორკი, აშშ

(დასასრული იქნება)

## თქვენთვის, ერუდიტებო!

### ვინ გახდება „საქართველოს რესპუბლიკის“ ჯილდოს მფლობელი?



მაშინ, როცა ტოტალიზატორებმა წალეკეს საფეხბურთო სამყარო და საბუქმეიკერო კანტორები ლამის ყველა პრესტიჟული ტურნირის ბედს წყვეტენ, ჭეშმარიტ გულშემატკივრებსა და მართალი სიტყვის ქომაგ ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ ვიქტორინას „ვინ გახდება XIX მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული?“

ვინც გამოიცნობს მომავალი გვირგვინოსნის ვინაობას, დაჯილდოვდება „საქართველოს რესპუბლიკის“ სამთვიანი ხელმოწერით.

მსურველებმა მოგვმართეთ მისამართზე: გიორგი ახვლედიანის (პეროვსკაიას) 19; ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ტელეფონი: 99-62-77.

## ⊙ მუნდიალ-2010

## პრეზიდენტს რა ეჩემპიონატება?

**დიახ, ძალზე უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ, მისი მასპინძლის – სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯეიკობ ზუმა. ახლა მთელი ქვეყანა იმაზე ჭორაობს, რომ პრეზიდენტის 21-ე შვილი(!ძ მისი კი არ არის, არამედ მისი ცოლის მცველის, პრეზიდენტის მეორე ცოლის ნომპმელეკო ნტულის რომანზე თავის მცველთან პრესას აცნობა „შეშფოთებულმა ოჯახის წევრმა“. როგორც ჩანს, შურისძიებით შეშინებულმა საყვარელმა უმალ თავი მოიკლა. თავად მოღალატე ცოლმა კი იქაური, ზულისების ტრადიციით ქმარს ჯარიმად ცოცხალი თხა მიართვა.**

ჯეიკობა ზუმის გარემოცვა ცდილობს სკანდალის მიჩუმათებას. ამტკიცებენ რა, რომ 35 წლის ნტული კრისტალურად სუფთაა, ხოლო ჭორები გაავრცელეს ავისმდომელმა ჭორიკანებმა. მაგრამ თავად 68 წლის ზუმა, ხუთჯერ რომაა ნაქორწინები, უცოდველი როდია. წლეულს მან საჯაროდ მოიხადა ბოდიში ამ ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის მაღალი ჩინოსანის ქალიშვილთან არაკანონიერი ბავშვის გაჩენისათვის.



ახლა კი, საზღვარგარეთ ვიზიტიდან დაბრუნების შემდეგ, მან შეკრიბა მთელი ოჯახი, რათა ემხილებინა მოღალატე, საოჯახო განსჯაში კი დაზვერვა და პოლიციაც ჩართო.

**სურათზე: სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი მოღალატე ცოლთან ქორწილის დროს.**

## მსოფლიო ჩემპიონატის მილიონერები

**ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ ყოვლისმცოდნე სტატისტიკოსებმა გამოითვალეს მუნდიალში მონაწილე თითოეული გუნდის და მოთამაშის ღირებულება, რასაკვირველია, ყოველი მათგანი – ნაკრებებიცა და მოთამაშეებიც ასეთი შეფასების მიხედვით ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მაგრამ ახლა მთავარი ფინანსები როდია, ნათქვამია, რომ ბურთი მრგვალიაო და ვინ იცის, ვის კარში, როდის და რამდენჯერ მოხვდება ის, ან თავს როგორ გამოიჩენს ესა თუ ის მოთამაშე. ამაზე ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ვიმსჯელებთ. ახლა კი ვნახოთ, ვინ როგორ გამოიყურება.**

**აი, როგორ გამოიყურებიან მილიონერი ნაკრებები თავიანთი მოთამაშეების ღირებულებით:** ესპანეთი – 960 მილიონი, ინგლისი – 471,5, საფრანგეთი – 367.,5, ბრაზილია – 353,1, არგენტინა – 349,4,



იტალია – 339, პორტუგალია – 285,4, გერმანია – 292,5, ჰოლანდია – 255,55, კოტ-დ იუვარი – 195,75, სერბია – 188,45, კამერუნი – 150,2, ნიგერია – 139,1, ურუგვაი – 130, შვეიცარია – 104,25, მექსიკა – 88,05, სლოვაკეთი – 87,8, საბერძნეთი – 87,3, დანია – 84,75, პარაგვაი – 80,45, ჩილე – 79,85, იაპონია – 73, ავსტრალია – 68,5, აშშ – 57,65, ალჟირი – 51,7, სლოვენია – 47,35, განა – 58,45, სამხრეთ კორეა – 48,8, ჰონდურასი – 48,65, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა – 24,3, ახალი ზელანდია – 13,45, ჩრდილოეთ კორეა – 9,55.

სიაში იყო რუსეთიც 208 მილიონით, მაგრამ ის ხომ მსოფლიო ჩემპიონატში არ მონაწილეობს.

ვიდრე უმდიდრეს მოთამაშეებზე გადავიდოდეთ, უნდა გითხრათ ანეკდოტად გავრცელებულ ამბავზეც – მარტო მესი იმდენი ღირს, რამდენიც კორეის სახალხო რესპუბლიკის ანუ ჩრდილო კორეის ნაკრები რვაჯერ აღებულიო.

**ჩემპიონატის ყველაზე „ძვირფასი“ ფეხბურთელთა რეიტინგი კი ასე გამოიყურება:**

ლეონელ მესი – 80 მილ, კრიშტიანუ რონალდუ – 75, ჰავი – 65, ანდრეას ინიესტა – 60, სესკ ფაბრეგასი – 55, უეინ რუნი – 53, კაკა – 50, სტივენ ჯერარდი – 50, ფრენკ რიბერი – 50, ფერნანდო ტორესი – 50, დევიდ ვილია – 45, ფრენკ ლემპარდი – 45, სამუელ ეტო' ო – 40, დანიელ დე როსი – 38, დიდიე დროგბა – 38, არიენ რობენი – 38, სერხიო აგუერო – 36, ნემანია ვიდიჩი – 35, უესლი სნეიდერი – 35, ჯონ ტერი – 35.

## ⊙ კალათბურთი

## ცხელი ზაფხულის კონტურები

**მართალია, გუშინ საფეხბურთო ციებ-ცხელება დაიწყო, მაგრამ არც სპორტის სხვა სახეობათა ქომაგებს სცალიათ მოსაწყენად. მაგალითად, გუშინვე თბილისის სპორტის სასახლეში საქართველოს, იტალიის, ლატვიისა და ფინეთის ნაკრებთა მონაწილეობით სტარტი აიღო 2012 წლის ევროპის ხელბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდმა, ხოლო კონტინენტის პირველობის შესარჩევ ტურნირში 2 აგვისტოს „ა“ დივიზიონში პირველად აღზევებული ჩვენი ქვეყნის კალათბურთელები ჩაებმებიან. სწორედ მომავალი ცხელი ზაფხულისთვის სამზადისს მიეძღვნა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში გამართული საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გენერალური მდივნისა და, ამავდროულად, „ჯვაროსანთა“ მენეჯერის მერაბ რატიშვილის პრესკონფერენცია, რომელმაც გვაუწყა:**





– საქართველოს ეროვნული ნაკრები უმნიშვნელოვანესი ბატალიებისთვის მზადებას 1 ივლისს იგორ კოკოშკოვის თავკაცობით ავსტრიის ქალაქ შტაინბრუნში დაიწყებს, სადაც ზედიზედ მესამედ შეიკრიბება უკანასკნელი სეზონების განმავლობაში. ორკვირიანი ოფლისღვრის შემდეგ ორ საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს გავმართავთ: 17 ივლისს ქალაქ სომბათჰეიში უნგრეთის, 19 ივლისს კი ქალაქ პეზინოკში სლოვაკეთის გუნდებთან.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ბიჭები თბილისის ოთხთა საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ ასეთი განრიგით:

**23 ივლისი. საქართველო – რუმინეთი.**

**24 ივლისი. საქართველო – ბელარუსი.**

**25 ივლისი. საქართველო – უკრაინა.**

ამის შემდეგ დედაქალაქშივე დამამთავრებელ ერთკვირიან შეკრებას მოვაწყობთ და ოფიციალური შეხვედრების დროც მოვა.

გეთანხმებით, მეტი ამხანაგური თამაშის დაგეგმვაც შეიძლებოდა, მაგრამ ვინაიდან შეკრებას გვიან ვიწყებთ, ისინი მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. შედარებისთვის მოგახსენებთ, რომ ბულგარელები, მაგალითად, შეკრებაზე ხვალიდან გადადიან და, ბუნებრივია, მეტ სპარინგ-მეტოქესთან გამოცდიან საკუთარ შესაძლებლობებს. თუმცა, არც იმას დაგიმალავთ, რომ არაა გამორიცხული ავსტრიული შეკრების მიწურულს მასპინძლებთან გავმართოთ საწვრთნელი ბრძოლა. ერთადერთ პრობლემას ის ფაქტი წარმოადგენს, რომ ავსტრიელები სწორედ იმ დღეებში, კონკრეტულად – 13 ივლისს იწყებენ შეკრებას.

რაც შეეხება შესარჩევი მატჩების მჭიდრო გრაფიკს, გულისტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენისთანა მწირი მატერიალური შესაძლებლობების მქონე ფედერაცია მოკლებულია ფუფუნებას გუნდი გასვლით შეხვედრებზე ჩარტერული ავიარეისებით გაგზავნოს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ საყვედური გამოვთქვათ სახელმწიფოს მიმართ, რომელიც სპორტის დეპარტამენტის სახით ეროვნული და სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებების ძირითადი დონორია (80-90 პროცენტიძ.

არის კიდევ ერთი აქტუალური საკითხი, რომელიც გუნდის დაკომპლექტებას ეხება. კერძოდ, იგორ კოკოშკოვმა და მისმა თანაშემწეებმა ჯერჯერობით 16 მოთამაშე შეარჩიეს, ფიბა-ში წარსადგენ განაცხადში კი მაქსიმუმ 24 კალათბურთელის შეყვანაა ნებადართული. მსურს დაგამშვიდოთ: კიდევ რამდენიმე „ჯვაროსნის“ კანდიდატურა ახლო მომავალში დაზუსტდება და ისინი პარტნიორებს უკიდურეს შემთხვევაში შეეშველებიან (ტრავმები, გადაღლილობა და ა. შ.ძ.

**დასასრულს, გაეცანით საქართველოს ეროვნული ნაკრების კალენდარს და შემადგენლობას.**

**2 აგვისტო. საქართველო – პოლონეთი.**

**5 აგვისტო. ბელგია – საქართველო.**

**11 აგვისტო. საქართველო – პორტუგალია.**

**14 აგვისტო. ბულგარეთი – საქართველო.**

**17 აგვისტო. პოლონეთი – საქართველო.**

**20 აგვისტო. საქართველო – ბელგია.**

**26 აგვისტო. პორტუგალია – საქართველო.**

**29 აგვისტო. საქართველო – ბულგარეთი.**

**გიორგი ცინცაძე. გამთამაშებელი.** 192 სმ. 1986 წ. „სოპოტი“ (პოლონეთიძ.

**გიორგი გამყრელიძე. გამთამაშებელი.** 183 სმ. 1986 წ. „მიტელდოიჩერი“ (გერმანიაძ.

**ტორინ გრინი. მსროლელი.** 183 სმ. 1985 წ. აეკ (საბერძნეთიძ.

**კოტე ტუღუში. მსროლელი.** 191 სმ. 1983 წ. „ენერჯი ინვესტი“ (რუსთავიძ.

**კოკა ტომარაძე. ფორვარდი.** 197 სმ. 1990 წ. „მონსონი“ (ესპანეთიძ.

**მანუჩარ მარკოიშვილი.** ფორვარდი. 196 სმ. 1986 წ. „კანტუ“ (იტალიაძ.

**ანატოლი ბოისა. ფორვარდი.** 195 სმ. 1983 წ. „ენერჯი ინვესტი“ (რუსთავიძ.

**ვიქტორ სანიკიძე. ფორვარდი.** 203 სმ. 1986 წ. „ბოლონია“ (იტალიაძ.

**ნიკა ცქიტიშვილი. ფორვარდი.** 213 სმ. 1983 წ. „ფუენლაბრადა“ (ესპანეთიძ.

**თორნიკე შენგელია. ფორვარდი.** 204 სმ. 1991 წ. „ვალენსია“ (ესპანეთიძ.

**მიხეილ ბერიშვილი. ფორვარდი.** 203 სმ. 1987 წ. „არიდანე“ (ესპანეთიძ.

**ნიკა მეტრეველი. ფორვარდი.** 211 სმ. 1991 წ. „ფორენტინო“ (იტალიაძ.

**ლევან შენგელია. ფორვარდი.** 206 სმ. 1990 წ. „როდ აილენდი“ (აშშძ.

**ქუინტონ ჰოლსი. ფორვარდი.** 198 სმ. 1984 წ. იზმირის „პეტკიმი“ (თურქეთიძ.

**ზაზა ფაჩულია. ცენტრი.** 210 სმ. 1984 წ. „ატალანტა ჰოუქსი“ (აშშძ.

**გიორგი შერმადინი. ცენტრი.** 216 სმ. 1986 წ. „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთიძ.

დავძენთ, რომ ჩვენიგუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა ვლადიმერ ბოისამ, რომელიც „ზადარში“ თამაშობს, ხორვატეთის ჩემპიონატის ფინალურ მატჩში ზაგრების „ციბონასთან“ მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და, წინასწარი ინფორმაციით, ალბათ, ვერ მოასწრებს აგვისტომდე მწყობრში ჩადგომას. თუმცა, ვინ იცის?

* * *

**ნბა-ს ფინალი. მეოთხე შეხვედრა.** „ბოსტონი“ – „ლოს-ანჯელესი“ 96:89. სერიაში ანგარიში გათანაბრდა – 2:2.

## აკრძალეს მკერდის მოშიშვლება

**მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა მატჩებზე დამსწრე ქალებს აუკრძალა მკერდის მოშიშვლება. ორგანიზატორები შეაწუხა ერთ-ერთ ამხანაგურ მატჩზე გულშემატკივარი ქალების საქციელმა. იქ ლამაზმანები თითქმის შიშვლები მივიდნენ.**

საორგანიზაციო კომიტეტს ასეთი ნაბიჯისკენ უბიძგეს ტელეკომპანიებმაც, მოითხოვეს რა მსგავსი უმსგავსოებების აკრძალვა. უმრავლეს ქვეყნებში, სადაც ტურნირის ტელეტრანსლაცია მიმდინარეობს, ტელევიზორებთან ძალზე მოხერხებულ დროს ბავშვებიც მივლენ, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში კი მამაკაცებსაც რელიგიური რწმენის გამო აკრძალული აქვთ ქალთა მშვენიერი ორგანოების ღიად ყურება.



## ⊙ რეპლიკა

## აბა, მუშტი-კრივში მნახე...



**გუშინ დედაქალაქის სპორტულ ბაზებზე დასრულდა სეზონის შემაჯამებელი კომპლექსური ახალგაზრდული ღონისძიება „უნივერსიადა – 2010“, რომელშიც კერძო და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.**

სამწუხაროდ, საბოლოო შედეგების ნაცვლად იძულებულნი ვართ იმ ვანდალური აქტის შესახებ გაუწყოთ, რომელიც ფეხბურთელთა ტურნირის ფინალური მატჩის დროს მოხდა. იმ დროს, როცა ილია ჭავჭავაძის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტისა და საქართველოს ეკონომიკური უნივერსიტეტის გუნდების შეხვედრაში ანგარიში იყო 3:3, ერთ-ერთი სტუდენტის ბილწსიტყვაობას ორგანიზატორთა საპასუხო რეაქცია და მუშტი-კრივი მოჰყვა.

ვიმედოვნებთ, აღნიშნული შემთხვევა შესაბამისი სტრუქტურების პრინციპული მსჯელობის საგანი გახდება, რათა მომავალში მსგავსი ფაქტები აღიკვეთოს.

## ენა მდიდარი...

განყოფილებას უძღვება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
გივი ბოჯგუა



# „და მის სიკვდილით არ გაგახარებთ“

### 6. მიყვარხართ, მართლმეტყველებო!

ძველბერძნული ტერმინი ორთოგრაფია სწორად წერას (მართლწერას) ეწოდება. მართალია, მეტყველება გაცილებით ადრე შეიქმნა, ვიდრე წერა, მაგრამ სწორად მეტყველებაც (მართლმეტყველებაც) ზეპირი ორთოგრაფიაა და მართლწერასთან ერთად განიხილება. ამდენად, ორთოგრაფია მართლმეტყველების გრაფიკული გამოსახულებაა.

ყოველი განათლებული და კულტურული ადამიანი მოვალეა – ზედმიწევნით იცოდეს მშობლიური და უცხოური ენების ორთოგრაფია, რათა სწორად ჩამოაყალიბოს სათქმელი. აქ არ გამოგვადგება ანდაზა – არცოდნა არცოდვააო. ცოდვაა, თანაც დიდი! ენის სიწმინდის დაცვა ნებისმიერი მოქალაქის საპატიო მოვალეობაა.

განვიხილოთ მართლწერის (მართლმეტყველებისაც) დარღვევის რამდენიმე მაგალითი:

1. პოლიციის ჩინოსანმა ტელეეკრანიდან გვამცნო: ერთმა მოქალაქემ **ორლულიანი ფოთიდან გასროლა მოახდინაო**. მოგწონთ? **მოხდენა** შეიძლება, მაგალითად, შთაბეჭდილებისა, მაგრამ **გასროლის მოხდენა** ქართული არ არის. მაშ, როგორ უნდა ეთქვა? **ორლულიანი თოფი გაისროლაო!**

2. თითქმის ყველა სატელევიზიო არხით გადაიცემა ხოლმე ცნობები მოსალოდნელი ამინდის შესახებ. ძალიან კარგი! მაგრამ ზოგიერთი გადაპრანჭული მაცნე ასე მოგვმართავს: საღამოს უნდა **ველოდოთ** წვიმასო. **ველოდოთ** თუ **ველოდეთ**? **ველოდოთ** ნიშნავს – დავუცადოთ, დაველოდოთ; **ველოდეთ** კი – მოველოდეთ, მოლოდინში ვიყოთ. მაშასადამე, წვიმას კი არ უნდა **ველოდოთ**, არამედ – **ველოდეთ**.

3. ერთ გაზეთში ამოვიკითხე: დიასახლისს შევეხვეწე, ქალი არ ხარ – **მიშველე-თქო;** ვიფიქრე, თბილისიდან მაინც ვეცდები სიმართლის **პოვნას-თქო;** თანაც, დამწვრობის გამო, ვერ **ვჯდები-თქო**. აქ **თქოს** ნაცვლად ყველგან უნდა იყოს **მეთქი**, რადგან **მეთქი** (მე ვთქვი) აღნიშნავს I პირის ნათქვამის გამეორებას. **თქო** კი იხმარება მაშინ, როცა I პირი თავის ნათქვამს აბარებს II პირს III პირისთვის გადასაცემად. ბარემ ისიც შევნიშნოთ, რომ სხვათა სიტყვის ნაწილაკები **თქო, მეთქი** დეფისით იწერება და **მეთქი, თქო, ო** ნაწილაკებდართული წინადადება ბრჭყალებში არ ჩაისმის.

4. ყველაზე **ყურებადი** აქცია „ვესტიში“! – მომესმა ტელეეკრანიდან. ყველაზე **ყურებადი** გადაცემა! – დაამატა ვიღაცამ. არა, ლექსიკონებში ნუ დაუწყებთ ძებნას ხაზგასმულ სიტყვას. იგი მარაქაში გარეული ხელოვნური სიტყვაა და თავის დამკვიდრებას ცდილობს დაუმსახურებლად. ისე კი, ალბათ, **კარგად, სასიამოვნოდ** საყურებელს უნდა ნიშნავდეს.

5. თავად რომ არ გამეგონა, ვერავინ დამაჯერებდა, რომ ცნობილმა ტელეწამყვანმა ნინო ხოშტარიამ არ იცოდეს განსხვავება **რუქასა** და **რუკას** შორის. „ყველაზე ჭკვიანის“ გადაცემის დროს ნინომ მოთამაშე ბიჭუნასთან გასაუბრებისას სამჯერ უმართებულოდ გამოიყენა სიტყვა **რუქა**. სხვათა შორის, იმ ბიჭუნამ ორგზის ახსენა სწორი ფორმა – **რუკა**, მაგრამ ნინომ „დაიჩემა“ აკვიატებული **რუქა**. აბა, როგორ შევკადრო ნინოს, რომ **რუქა** სულხან-საბას ნაწარმოების პერსონაჟია – სეფეთუხუცესი ფინეზ მეფისა, ხოლო **რუკა** – დედამიწის ზედაპირის შემცირებული გამოსახულება. და კიდევ: ნინოს არ შეშვენის „ეკივოკში“ **ფანტასტიურის** ხსენება **ფანტასტიკურის** ნაცვლად, თანაც ბავშვებთან.

* * *

ახლა კი გავიხსენოთ **კონსტანტინე გამსახურდიას** გამონათქვამი:

**„მშობლიური ენის სიწმინდის დაცვისთვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოსი“.**



## გუშინ დღეისათვის

### ჩვენი უახლესი ისტორიის ერთ-ერთი კადრის და კადრს-გარეშე დარჩენილი სინამდვილის შეპირისპირებისთვის

ეს ქალბატონი – მაია ნადირაძე თაიგულით ხელში რომ დგას და ჯარისკაცებს უღიმის, ადვილი საცნობია. ის კაცი კი, იმ საბედისწერო წინა დღეს ვარდებით მოსული ადამიანი, რომლის გამოჩენამ ცხელ შუბლზე სველი ტილოს ეფექტი გამოიწვია, აღარავის ახსოვს. (თუ ტრაბახად არ ჩამომართმევთ, საკუთარ თავზე მოგახსენებთ), არცაა გასაკვირი, სრულიად მარტივი მიზეზის გამო: „ვარდების რევოლუციის“ სცენარის ავტორი ჩვეულებრივი მოკვდავის, რიგითი მოქალაქის, უშუალოდ ხალხის წარმომადგენლის რამენაირად ფიგურირებასაც კი აბსოლუტურად გამორიცხავდა.

მიხეილ გიჟიმყრელი.
ჟურნალისტითა კავშირის წევრი
1964 წლიდან



## ჩვენი კარაბადინი

### შევამოწმოთ სისხლი

**მაღალია თუ არა ღრმა ვენების თრომბოზის – შორეულ ავიაფრენებში მთავარი შიშის – რისკი, მალე შეუძლია შეამოწმოს ნებისმიერმა მგზავრმა. გერმანელმა ინჟინრებმა გამოიგონეს კომპლექსური ელექტრონული მოწყობილობა, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „ლაბორატორია ჩიპებზე“ (უწვრილესი მიკროკრისტალებით). სისხლის წვეთს ათავსებენ პოლიკარბონატული ფირფიტების ანალიზატორში და სისტემა უმალვე განსაზღვრავს შედედების დონეს.**



მარტო გერმანიაში ყოველწლიურად დიაგნოსტიკას უკეთებენ ვენოზური სისხლის მიმოქცევის 80 ათას შემთხვევას. ყველაზე სერიოზულ დაავადებათა შორისაა – ფილტვების არტერიების ემბოლია და ღრმა ვენების თრომბოზი.

ახალი ანალიზატორი იაფია, მარტივია სახმარად და გამოადგებათ არა მხოლოდ ავიამგზავრებს, არამედ მწეველებსაც, ფეხმძიმეებსაც და სხვებსაც, ვისაც თრომბის წარმოქმნის გაზრდილი რისკი აქვთ. მათ უკვე აღარ მოუწევთ – დღეების განმავლობაში ელოდონ ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგებს.

### რა არის ჰიპერტონია?

**ქრონიკული მდგომარეობა, რომლის დროსაც ამაღლებულია არტერიული წნევა. ჰიპერტონიას არ აქვს სპეციფიკური სიმპტომები და მას „მდუმარე მკვლელს“ უწოდებენ.**

### დავიწიოთ წნევა?



**მსოფლიოში ერთ-ნახევარ მილიარდზე მეტ კაცს აწუხებს მაღალი არტერიული წნევა, ყოველწლიურად 7 მილიონი კაცი იღუპება ჰიპერტონიით.**

წლევანდელი 17 მაისიდან აღინიშნება ჰიპერტონიასთან ბრძოლის მსოფლიო დღე.

### წნევა და წონა

**მართალია, რომ ზედმეტი წონა შეიძლება გახდეს წნევის აწევის მიზეზი? დიახ, ეს ასეა. მსოფლიოში ერთ მილიარდზე მეტ კაცს აქვს ზედმეტი წონა, 300 მილიონს სიმსუქნე აწუხებს. განსაკუთრებით საშიშია, რომ ზედმეტი წონა შეენიშნება ყოველ მეექვსე ბავშვს.** სიმსუქნის ეპიდემიას ზოგიერთი სპეციალისტი მსოფლიო გლობალიზაციით ხსნის. როდესაც ხალხი სოფლიდან ქალაქში გადადის, ეცვლება ცხოვრების სტილი. მინდვრად მუშაობის ნაცვლად ისინი მრავალ საათს ატარებენ ოფისებში, ხშირად სტრესულ მდგომარეობაშიც არიან. სწრაფად რომ ჭამონ, მირბიან რესტორნებში, სწრაფი კვების ობიექტებში, ანდა ჭამენ დაფასოებულ პროდუქტებს, რომლებშიც ბევრი ცხიმი, მარილი და შაქარია.

ერთ-ერთი საშუალება გავიგოთ, გვაქვს თუ არა ზედმეტი წონა – არის წელის შემოწერილობის გაზომვა. მოზარდი მამაკაცისთვის ის არ უნდა აღემატებოდეს 95 სანტიმეტრს, ქალისთვის – 80 სანტიმეტრს.

### ნიგოზი ინფარქტის წინააღმდეგ

**ვინც ბევრ ნიგოზს ჭამს, დაბალი აქვს ქოლესტერინის დონე, აცხადებენ ამერიკელი მკვლევარები. ნიგოზი შეიცავს ბევრ „სასარგებლო ცხიმს“. ამას გარდა, ნიგოზში ბევრი E ვიტამინი და უჯრედია.**



გამოკვლევათა მონაცემებით, მათ, ვინც დღეში სულ ცოტა 67 გრამ არახისს ჭამს, „ცუდი“ ქოლესტერინის დონე აქვს 7 პროცენტით დაბლა, ვიდრე მათ, ვინც არ ჭამს კაკალს. „ნიგვზის ერთი პაკეტი დღეში დაგეხმარებათ თავიდან აიცილოთ გულ-სისხლძარღვთა დაავადების განვითარება“, – გვირჩევენ მეცნიერები.

### ჯაჭვური რეაქცია

**ბრტყელტერფიანობამ შეიძლება თავის ტკივილის შეტევები გამოიწვიოს, მიაჩნიათ ინგლისელ ნევროლოგებს. ტერფის ნამეტანი დაბალი სიმაღლის გამო იტვირთება ნაკუთალი, შემდეგ მუხლები და ზურგი, ფუჭდება ტანადობა. ცუდი ტანადობა კი ყოველ მეოთხე შემთხვევაში თავის ტკივილის მიზეზია.** გადატვირთული კუნთები მუდმივად უგზავნიან სიგნალებს ტვინს, ტვინი იძლევა განკარგულებას სპეციალურ ნივთიერებათა გამომუშავებაზე, რომლებიც აფართოებენ სისხლძარღვებს.ამან კი შეიძლება გამოიწვიოს ქსოვილის ანთება და, როგორც შედეგი, – შაკიკის შეტევები, გვარწმუნებენ ნევროლოგები შაკიკის კლინიკიდან.

## ისიამოვნეთ!

### „დაისი“ კონსერვატორიაში

იხურება სეზონი, რემონტდება საშვილიშვილოდ საოპერო თეატრი და ძალაუნებურად კონსერვატორიის დიდ დარბაზში თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გუნდი და ორკესტრი საკონცერტო ვერსიით წარმოგიდგენთ ზაქარია ფალიაშვილის ოპერას „დაისი“. ამ შესანიშნავი ქმნილების შესრულებაში მონაწილეობენ მომღერლები – ნინო ჩაჩუა, ელენე ჯანჯალია, ირაკლი კახიძე, ვახტანგ ჯაშიაშვილი, გია ასათიანი, თამაზ საგინაძე. მაშ, 14 ივნისს, 19 საათზე მოისმინეთ ფალიაშვილის უკვდავი ჰანგები.

„დაისს“ წარუძღვება დირიჟორი რევაზ ტაკიძე.

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის კოლექტივი რექტორ ამირან მექვაბიშვილის სახელით თანაუგრძნობს ხმალაძეების ოჯახს უნივერსიტეტის პროფესორის

ნუგზარ ხმალაძის გარდაცვალების გამო.

თენგიზ და ქეთინო ქავთარაძეები სამძიმარს უცხადებენ კლარა და შუქრი დევნოზაშვილებს დედისა და სიდედრის

ბაბულა ალექსანდრეს ასულ ქინქლაძის გარდაცვალების გამო.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.

## განცხადება

2010 წლის 01 იანვარს „მეწარმეთა შესახებ“ კანონში შესული ცვლილებების თანახმად შპს „ბიზნესცენტრი სასტუმრო რუსთავის“ ყველა ყოფილ აქციონერს ვთხოვთ, წარმოადგინოს პირადობის მოწმობა შპს „ბიზნესცენტრის სასტუმრო რუსთავის“ ადმინისტრაციაში ხელახალი რეგისტრაციის გავლის მიზნით, რის შესახებაც 2010 წლის 21 ივნისს 14 საათზე ვიწვევთ შპს „ბიზნესცენტრი სასტუმრო რუსთავის“ პარტნიორთა კრებას აღნიშნული დღის წესრიგით, მისამართზე: ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზირი №32.

ერთი საღამოს ხიბლი

# ბავშვური ხმების სიწკრიალე



ზაფხული ქალაში შედის, თავიანთი ერთი წლის ნაშრომნაღვაწს აჯამებენ ქვეყნის საჯარო თუ კერძო სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები... ჰოდა, ტრადიციული კონცერტი გამართეს დები ჭოხონელიძეების სამუსიკო სტუდიის აღსაზრდელებმაც – „პლეხანოვზე“ თოჯინების საბავშვო თეატრის სცენაზე სიმღერაში ერთმანეთს ეცილებოდნენ ნიჭიერი მუსიკოსისა და მომღერლის, შუათანა – თინათინ ჭოხონელიძის აღსაზრდელები... ირგვლივ სიხარული და ბავშვური ხმების სიწკრიალე იდგა.

**სურათზე:** მღერიან ანანო მარდალეიშვილი (მარცხნივ) და მაცაცო ჟორჟოლიანი.

დღის კალენდარი

## 12 ივნისი

ღირსისა ისააკ აღმსარებლისა, დალმატის მონასტრის იღუმენისა (383წ; ღირსთა მამათა ტატიანესი და ნესთერეონისა.



ამოდის 04.26
ჩადის 19.35



ამოდის 03.06
ჩადის 18.50

### დაიბადნენ:

**1897 – ენტონი იდენი,** ინგლისელი პოლიტიკოსი, კონსერვატორი, ომის წლებში საგარეო საქმეთა მინისტრი, 1955-1957 წლებში პრემიერ-მინისტრი. გარდაიცვალა 1977 წელს.

**1899 – ლეონიდ ლეონოვი,** რუსული ლიტერატურის კლასიკოსი. გარდაიცვალა 1976 წელს.

**1915 – დევიდ როკფელერი,** ამერიკელი ბანკირი, მილიარდერი.

**1917 – ალექსანდრე მაჰომეტოვი,** პროფესორი, ენათმეცნიერი, კავკასიოლოგი.

**1924 – ჯორჯ ბუში,** აშშ-ს 41-ე პრეზიდენტი.

**1939 – ირაკლი კვირიკაძე,** ცნობილი კინორეჟისორი.

### გარდაიცვალნენ:



**1997 – ბულატ ოკუჯავა,** პოეტი.

### მოვლენები:

**1942** – რუსეთ-ინგლისის და რუსეთ-ამერიკის კომუნიკე მეორე ფრონტის გახსნის შესახებ.

**1990** – რსფსრ სახალხო დეპუტატებმა სხდომაზე მიიღეს დეკლარაცია რუსეთის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ. რუსეთში აღინიშნება როგორც დამოუკიდებლობის დღე.

**1991** – რეფერენდუმის გადაწყვეტილებით ლენინგრადს დაუბრუნდა ძველი სახელწოდება – სანკტ-პეტერბურგი.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**დიდი ბრიტანეთი** – დედოფლის დაბადების დღე.
**ფილიპინები** – დამოუკიდებლობის დღე.
**რუსეთი** – დამოუკიდებლობის დღე.
**ფინეთი** – ჰელსინკის დღე.
**პარაგვაი** – მშვიდობის დღე.

მედიანიუსი

საინტერესოა

# მეგობრობა ციფრებსა და ფაქტებში



**იმ ქალების შვილები, ვისაც ბევრი მეგობარი ჰყავთ, იმ ბავშვებზე უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვის დედებსაც არ ჰყავთ თავისი სქესის მეგობრები.**

მამაკაცები უფრო მომთმენები არიან თავიანთი მეგობრებისადმი, ვიდრე ქალები. ამას გარდა ძლიერი სქესის წარმომადგენლები მეგობრებს იცვლიან 20 პროცენტზე უფრო იშვიათად, ვიდრე ქალები თავიანთ მეგობარ ქალებს.

მეგობრებთან გულითადი საუბრები ზრდიან პროგესტერონის ჰორმონის დონეს, ეს კი ხელს უწყობს ფსიქოლოგიურ განტვირთვას და ამცირებს განგაშს.

საშუალოზე დაბალი განათლების პირთა შორის მეგობრების არყოლის გამო იტანჯება ყოველი მესამე, განათლებულთა შორის კი – მხოლოდ ყოველი მეათე.

ისინი, ვისაც ცოტა მეგობარი ჰყავს, უფრო ხშირად იტანჯებიან უძილობისა და ქრონიკული დაღლილობისგან.

შეძლებულ და იღბლიან ადამიანებთან მეგობრობა, ვინც არ მალავს თავის სიმდიდრესა და წარმატებებს, უყალიბებს მათს მეგობრებს მყარ სტრესს და ზრდის გულის შეტევის რისკს.

ხანდაზმული ადამიანები, რომლებსაც აქტიური ურთიერთობა აქვთ მეგობრებთან, ცოცხლობენ საგრძნობლად უფრო დიდხანს. ამასთან ნათესავებთან მჭიდრო კავშირი არაფრით არ აისახება ცხოვრების ხანგრძლივობაზე.

ნებისმიერ ადამიანს საშუალოდ სამი ახლო მეგობარი ჰყავს.

**სოციალური ქსელების გამომყენებელთა 90 პროცენტი დარწმუნებულია: მეგობრობა შესაძლებელია მხოლოდ რეალურ ცხოვრებაში, პიროვნული შეხვედრებითა და საუბრებით.**

**სოციოლოგებმა სიდნეის უწოდეს ქალაქი, სადაც ყველაზე კეთილგანწყობილი ხალხი ცხოვრობს.**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +19 – +28 |
| ქუთაისი. | +19 – +26 |
| ბათუმი. | +20 – +31 |
| ზუგდიდი. | +21 – +32 |
| თელავი. | +18 – +32 |

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8650 ლარი |
| 1 ევრო | – 2.2339 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7052 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.8685 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.7803 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2484 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2798 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1422 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6456 ლარი |



ანეკდოტები

ხანგრძლივი წვიმების დროს მიხო ეუბნება სანდროს:
– თუ ორ-სამ დღესაც ასე გაგრძელდება, ყველაფერი რაც მიწაში ჩაგვიფლავს, ზემოთ ამოვა.
– თუ ღმერთი გწამს, ნუ მაშინებ! ჩვენი სოფლის სასაფლაოზე ორი ცოლი და სამი სიდედრი მყავს დასაფლავებული!

* * *

განცხადება:
დამეკარგა სიდედრი, წავიდა ლუდზე და აღარ დაბრუნებულა. მპოვნელებს ვთხოვ – ლუდი დამიბრუნეთ!

* * *

მეცნიერებმა აღმოაჩინეს ჩასახვის ახალი ხერხი.
– ბატონებო, ნეტავ ადრინდელი რატომ არ მოგწონდათ?

* * *



პაპა მიამბობდა, რომ ნახა ლენინი, მამა მიყვებოდა, თუ როგორ ნახა სტალინი. მე კი ინტერნეტში ისეთი რამეები ვნახე, რომ შვილიშვილებს ვერ მოვუყვები.

* * *

მასწავლებელი – მშობელს:
– თქვენი შვილი გეოგრაფიაში ძალიან მოისუსტებს...
– არა უშავს რა, ჩვენი ფულით შორს მაინც ვერ წავა.

* * *

ორი მეგობარი ბარში შეხვდა ერთმანეთს:
– ვხედავ პერანგზე ყველა ღილი დაგიკერებია. ალბათ ცოლი შეირთე!
– ასეა, თაფლობის თვეს პირველ რიგში ეს მასწავლა.

* * *

მხოლოდ ქალს შეუძლია ერთდროულად თან დიდი გაიძვერა გეძახოს, თანაც გაიძულოს, რომ ის შეირთო, როგორც წესიერმა კაცმა.

* * *

– რატომ აგინებ ცოლს ეკლესიაში აღსარებაზე წასვლის წინ?
– ცუდი მეხსიერება მაქვს, ცოლს კი, როცა გავაბრაზებ ხოლმე, მაშინვე ყველა ჩემს ცოდვებს მიხსენებს!

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.